



**შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის
სასწავლო უნივერსიტეტი**

სამართლის ფაკულტეტი
სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება

ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სტუდენტი:

ალექსანდრე ხუბუნაია

ნაშრომის ხელმძღვანელი:

ასოცირებული პროფესორი

ნუგზარ თევდორაძე

თბილისი

2020

შინაარსი

ანოტაცია-----	3
Annotation-----	4
შესავალი-----	5
თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა -----	8
თავი II. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შემადგელობა-----	10
2.1. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების არსი-----	10
2.2. ქმედების ობიექტური შემადგენლობა-----	20
2.3. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა-----	29
თავი III. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება ამსრულებლის, თანამსრულებლის და თანამონაწილეების მიერ-----	33
2.1. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება ამსრულებლის და თანამსრულებლის მიერ--	33
2.2. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება თანამონაწილეების მიერ-----	39
თავი IV. შედეგის უმართლობის შემცირება ზიანის ანაზღაურების გამო დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების დროს-----	43
თავი V. კვლევის შედეგები-----	50
დასკვნა -----	52
გამოყენებული ლიტერატურა -----	54

ანოტაცია

ნაშრომში კვლევის საგანს წარმოადგენს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ინსტიტუტი, სადაც განხილულია დანაშაულზე ხელის აღების პრობლემატური საკითხები, რომლებსაც ადგილი აქვს საკანონმდებლო დონეზე და თავისთავად თავს იჩენს სასამართლო პრაქტიკაში.

განალიზებულია დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ნიშნები რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ადამიანის სოციალური ბუნების მიერ ნაკარნახევი ნებაყოფლობით, დანაშაულზე უარის თქმის შესახებ იდეების განვითარებაში. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების კონცეფციისა და პირობების თეორიული განვითარება აუცილებელია მისი განსაკუთრებული სოციალური და სამართლებრივი მნიშვნელობის გათვალისწინებით, გამოხატავს ჰუმანიზმის საფუძვლებს, დადებითი ნორმა ხელს უწყობს დანაშაულების ჩადენის დაუსრულებლობა დაუმთავრებელი დანაშაულის ეტაპზე, რასაც მინიმუმამდე დაყავს პიროვნების, საზოგადოების და სახელმწიფოსთვის მიყენებულ ზიანი. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების განსაზღვრის მიზნით, აუცილებელია განისაზღვროს მისი არსებობის პირობების თეორიული გაგება. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ინსტიტუტი „პოსტკრიმინალური წამახალისებელი“ ნორმებისაგან განსხვავებით სისხლის სამართლის ზოგად ნაწილშია მოცემული. მაშასადამე, ეს უკანასკნელი გამოიყენება ცალკეული დანაშაულების მიმართ, რაზეც სისხლის სამართლის კანონში სპეციალურადაა მითითებული, ხოლო დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება გამოიყენება ნებისმიერი დანაშაულის მიმართ, სადაც ეს იურიდიულად შესაძლებელია. ნებაყოფლობით ხელის აღების საკანონმდებლო-სამართლებრივი რეგულაცია მოცემულია საქართველოს სსკ-ის 21-ე მუხლში ხოლო დოგმატურ-სამართლებრივი თვალსაზრისით, ამ ინსტიტუტის დასაბუთება ხდება „ოქროს ხიდის თეორიისა“ და „სასჯელის მიზნის მოდიფიცირებული თეორიის“ მიხედვით.

ნაშრომი წარმოდგენილია 55 კომპიუტერული ნაბეჭდი გვერდით, რომელიც მოიცავს შესავალს-განხილულია ნაშრომის აქტუალობა და მიზანი, სამ თავს: დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება - ზოგადი დახასიათება, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შემადგელობა; დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება ამსრულებლის, თანამსრულებლის მიერ და დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება თანამონაწილეების მიერ. ნაშრომს ბოლოში ერთვის დასკვნითი ნაწილი და გამოყენებული ლიტერატურის სია.

Annotation

The subject of research in the paper is the Institute for Voluntary Handling of Crime, which discusses the problematic issues of crime prevention, which take place at the legislative level and in itself is reflected in court practice.

The signs of voluntary renunciation of crime have been analyzed, which are of particular importance in the development of ideas about the renunciation of voluntary crime dictated by human social nature. Theoretical development of the concept and conditions of voluntary renunciation of crime is essential given its special social and legal significance. By itself expressing the foundations of humanism, a positive norm contributes to the failure to commit crimes at the stage of unfinished crime, which minimizes the damage done to the individual, society and the state. In order to determine the voluntary seizure of a crime, it is necessary to determine the theoretical understanding of the conditions of its existence. The institution of voluntary renunciation of crime is given in the general part of criminal law, in contrast to the "post-criminal criminal" norms. Therefore, the latter is applied to individual offenses specifically specified in criminal law, and voluntary renunciation of a crime is applied to any offense where it is legally possible. Legislative-legal regulation of voluntary seizure is given in Article 21 of the Criminal Code of Georgia, and from a dogmatic-legal point of view, this institution is substantiated according to the "Golden Bridge Theory" and the "Modified Theory of the Purpose of Punishment".

The paper is presented in 55 computerized printed pages, which includes an introduction-review of the relevance and purpose of the paper, three chapters: Voluntary Assault on Crime - General Characterization, Comprehension of Voluntary Assault on Crime; Voluntary seizure of the crime by the executor and co-perpetrator and voluntary seizure of the crime by the accomplices. The final part and the list of used literature are attached to the bottom of the paper.

შესავალი

კვლევის აქტულობა. წარმოდგენილი ნაშრომის კვლევის აქტულობა გამომდინარეობ იქიდან, რომ განხილულია სისხლის სამართლის დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ინსტიტუტის განვითარების პოზიტიური ასპექტები ქართულ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, აგრეთვე განსაზღვრულია უცხოური სამართალში დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ადგილი, თეორიული პრინციპებისა და პრაქტიკული მასალების ანალიზის საფუძველზე გამოვლენილია ახალი მიდგომები დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ფორმებისადმი, მისი მახასიათებლების დადგენაში და სხვ. თანამდებროვე დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფოს ფუნდამენტურ მოვალეობას სამართლებრივი ნორმების შექმნა, მათ დაცვაზე კონტროლის განხორციელება და სამართალდარღვევათა დასჯა წარმოადგენს. ვინაიდან, სამართალდარღვევათა დასჯის მონოპოლია მხოლოდ სახელმწიფოს გააჩნია, დანაშაულის შედეგად დაზარალებულ პირებს ეკრძალებათ, რომ სამართლიანობის აღსადგენად ძალადობის და იძულების ღონისძიებების გამოყენებით თავად გაუსწორდნენ დანაშაულის ჩამდენს. დანაშაულის მსხვერპლს თავად რომ ჰქონოდა დამნაშავეს დასჯის ნებართვა, ამით ერთ უმართლობას კიდევ მეორე უმართლობა შეემატებოდა. ამიტომ, თვითიუსტიცია უარყოფილი და აკრძალულია. დემოკრატიულ სახელმწიფოში სისხლის სამართლის ნორმის დადგენის შედეგად დანაშაულის მსხვერპლსა და (სავარაუდო) დამნაშავეს შორის წარმოშობილი “კონფლიქტის” მოგვარება და სამართლიანობის აღდგენა, როგორც წესი, მესამე ნეიტრალური მხარის, “იუსტიციის” ამოცანაა. “სახელმწიფო იუსტიცია” ვალდებულია ჩაერიოს ზემოაღნიშნულ კონფლიქტში და დასაჯოს დამნაშავე სამართლიანობის აღსადგენად, რაც როგორც მსხვერპლის, ისე საზოგადოების ინტერესებში ხორციელდება, დაიცვას ადამიანის ისეთი ფუნდამენტალური უფლებები როგორებიცაა სიცოცხლის უფლება (საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლი იცავს სიცოცხლის უფლებას. ნორმა განამტკიცებს დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ ძირითად ღირებულებას),¹ უდანაშაულობის პრეზუმფცია² და სხვ.

დანაშაულებასთან ბრძოლის სფეროში სახელმწიფოს მიერ განხორციელებული სისხლის სამართლის პოლიტიკა იძულებითი მეთოდების გარდა, რაც სასჯელისა და სხვა იძულებითი ხასიათის ღონისძიების დანიშვნის ან მისი დანიშვნის მუქარაში გამოიხატება, იყენებს დარწმუნების მეთოდსაც, რომელიც დამნაშავესათვის სასიკეთო შედეგს იწვევს, თუ ის კანონით დათქმულ პირობას შეასრულებს.

¹ საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლი

² საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლი

დარწმუნების მეთოდი ე.წ. „წამახალისებელ“ ნორმებშია გამოხატული. „წამახალისებელი“ ნორმები სისხლის სამართალში ორი სახისაა: ერთი, რომელიც დანაშაულის დამთავრებამდე გამოიყენება, კერძოდ, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ინსტიტუტი და მეორე, რომელიც დანაშაულის დამთავრების შემდეგ გამოიყენება, - ე.წ. „პოსტკრიმინალური წამახალისებელი“ ნორმა. ეს უკანასკნელი, ყოველთვის სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამის მუხლში შენიშვნის სახითაა მოცემული. მაგ: თუ პირმა უკანონოდ შეიძინა ცეცხლსასროლი იარაღი ან სხვა საბრძოლო საშუალება, სსკ-ის 236-ე მუხლის შენიშვნით გათავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ სათანადო ორგანოებს ნებაყოფლობით ჩააბარებს აღნიშნულ საგნებს და სხვა დანაშაულის ნიშნები არ არის მის ქმედებაში.

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ინსტიტუტი „პოსტკრიმინალური წამახალისებელი“ ნორმებისაგან განსხვავებით სისხლის სამართლის ზოგად ნაწილშია მოცემული. მაშასადამე, ეს უკანასკნელი გამოიყენება ცალკეული დანაშაულების მიმართ, რაზეც სისხლის სამართლის კანონში სპეციალურადაა მითითებული, ხოლო დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება გამოიყენება ნებისმიერი დანაშაულის მიმართ, სადაც ეს იურიდიულად შესაძლებელია.

ნებაყოფლობით ხელის აღების საკანონმდებლო-სამართლებრივი რეგულაცია მოცემულია საქართველოს სსკ-ის 21-ე მუხლში ხოლო დოგმატურ-სამართლებრივი თვალსაზრისით, ამ ინსტიტუტის დასაბუთება ხდება „ოქროს ხიდის თეორიისა“ და „სასჯელის მიზნის მოდიფიცირებული თეორიის“ მიხედვით.

ძველი სისხლის სამართლის კანონმდებლობისაგან განსხვავებით ახალ სისხლის სამართლის კოდექსში გაფართოებულად არის გადმოცემული დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების იურიდიული შინაარსი, განსაკუთრებით კი თანამონაწილეთა მხრივ ნებაყოფლობით ხელის აღების შემთხვევაში³.

კოდექსის 21-ე მუხლი ითვალისწინებს იმ პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას, ვინც ნებაყოფლობით აიღებს ხელს დანაშაულის ჩადენაზე. მოცემული ნორმა წამახალისებელი ნორმაა. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება უნდა განხორციელდეს მომზადების ან მცდელობის სტადიაზე. ამიტომ ცდებიან ის ავტორები, რომლებსაც დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება დაუმთავრებელი დანაშაულის სახედ მიაჩნიათ.⁴ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების დაუსჯელობა სისხლის სამართლის პოლიტიკით არის განპირობებული და მისი დაუსჯელობა იმით აიხსნება, რომ მართლწინააღმდეგობის ელე-

³ თ. დონჯაშვილი, საქართველოს სისხლის სამართალი (ზოგადი ნაწილი) თბ., 2002, გვ. 228

⁴ ზ. დაუთაშვილი, ა. კვაშილავა, სისხლის სამართალი (ზოგადი ნაწილი), თბ., 2003, გვ. 88.

მენტი (ნიშანი), რომელიც ახასიათებს დანაშაულს, ისპობა თვით იმ პირის მიერ, ვინც მომზადება ან მცდელობა ჩაიდინა. ასეთი ნორმის დადგენით კანონმდებელი ცდილობს შეუქმნას იმ პირს უკან დაბრუნების სტიმული, რომელიც დაადგა დანაშაულის გზას.

კვლევის მიზანი. ნაშრომში კვლევის მიზანს წარმოადგენს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ინსტიტუტის ანალიზი, განხილულია დანაშაულზე ხელის აღების პრობლემატური საკითხები, რომლებსაც ადგილი აქვს საკანონმდებლო დონეზე და თავისთავად თავს იჩენს სასამართლო პრაქტიკაში.

კვლევის ამოცანა. დასახული მიზნის მისაღწევად დასახულია შემდეგი ამოცანები: დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების არსის განსაზღვრა, ქმედების ობიექტური და სუბიექტური შემადგენლობების მიმოხილვა; დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ანალიზი ამსრულებლის, თანამსრულებლის და თანამონაწილეების მიერ და შედეგის უმართლობის შემცირების ზიანის ანაზღაურების პირობების გამოვლენა.

კვლევის მეთოდოლოგია. კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველია ზოგადი სამეცნიერო მეთოდების ერთობლიობა, რომელიც მოიცავს: შედარებითი სამართალი, ისტორიული იურიდიული, სისტემური ანალიზი. გამოყენებული სისტემატური მიდგომა საშუალებას გვაძლევს განვასხვავოთ და განვსაზღვროთ შესწავლილი სისტემის სტრუქტურა. მეცნიერებაში საგამომიებო ერთ-ერთი მთავარი მეთოდია შედარებითი იურიდიული ანალიზი, რომლის საშუალებითაც შესაძლებლობა მოგვეცა სისხლის სამართლის დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ინსტიტუტის განვითარების პოზიტიური ასპექტების დადგენა ქართულ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, აგრეთვე უცხოური სამართალში დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ადგილის განსაზღვრაში. თეორიული პრინციპებისა და პრაქტიკული მასალების ანალიზმა გამოავლინა ახალი მიდგომები დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ფორმებისადმი, მისი მახასიათებლების დადგენაში თანამონაწილეობაში. შედარებითი სამართალის და ისტორიულ-იურიდიული მეთოდები დაგვეხმარა შედარება მოგვეხდინა საბჭოურ და თანამედროვე სამართალს შორის. კერძოდ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აგები ინსტიტუტის სამართლებრივი განვითარებისა და ცვლილებების ანალიზის ხარჯზე.

თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას გამოვიყენე ქართველი და უცხოელი მეცნიერი-იურისტების სამეცნიერო ნაშრომები, რომელიც დამეხმარა, საკვლევ თემასთან დაკავშირებული პრობლემური და საკვანძო საკითხების ანალიზში, მათ შორის უნდა აღინიშნოს:

სახელმძღვანელო წინადადებები სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის ფორმის, მისი დასაბუთებულობისა და ტექსტის სტილისტიკური გამართულობის თაობაზე 2015 - წინანდებარე სახელმძღვანელო წინადადებები გამოცემულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ შემდეგი საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით: _ ევროპის საბჭოს პროექტი „მართლმსაჯულების სისტემის დამოუკიდებლობისა და ეფექტიანობის გაძლიერება საქართველოში“, რომელიც დაფინანსებულია დანიის სამეფოს მიერ საგარეო საქმეთა სამინისტროს მეშვეობით; _ ევროპის კავშირის პროექტი ‘სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში’; _ აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის სამართლებრივი მრჩევლის პროგრამა, რომელიც დაფინანსებულია ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის საერთაშორისო ანტინარკოტიკული და სამართალდაცვითი პროგრამების ბიუროს (INL) მიერ.

თემურ ცქიტიშვილის სასჯელი და მისი შეფარდება გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი 2019 - საქართველოში ყოველთვის მეტი ყურადღება ექცეოდა დანაშაულის მოძღვრებასთან დაკავშირებული საკითხების კვლევას, ვიდრე სისხლისსამართლებრივ სანქციებს. სასიხარულოდ უნდა ითქვას, რომ ბოლო პერიოდში ამ მხრივ მდგომარეობა ნელ-ნელა იცვლება, რაზეც მეტყველებს გამოცემული ნაშრომები და ჩატარებული ღონისძიებები. ამ მხრივ აღსანიშნავია 2017 წლის მაისში თსუ-ში თიუბინგენის უნივერსიტეტის პროფესორებთან (პროფ. ბერნდ ჰაინრიხი და პროფ. იორგ კინციგი) თანამშრომლობით ჩატარებული საერთაშორისო გერმანულ-ქართული კონფერენცია სისხლისსამართლებრივ სანქციებსა და სასჯელის შეფარდებაზე. კონფერენციაზე ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით გამოთქმულმა შეხედულებებმა გარკვეულწილად ხელი შეუწყო მოცემული გამოცემის მომზადებასაც. წინამდებარე წიგნში განხილულია სასჯელის არსი, სასჯელზე არსებული თეორიები, სასჯელის შეფარდების დროს გასათვალისწინებელი გარემოებები და ცალკეულ შემთხვევებში სასჯელის დანიშვნასთან დაკავშირებული საკითხები. კვლევა შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის გრანტის ფარგლებში.

თემურ ცქიტიშვილი, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები. დისერტაცია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი, 2014 - ნაშრომში განხილულია საფრთხის შემქმნელი დელიქტების მცდელობის საკითხი. სათანადო ყურადღებაა გამახვილებული შედეგით კვალიფიცირებულ საფრთხის დელიქტებში მცდელობის პრობლემაზე. საკითხთან დაკავშირებით ჩამოყალიბებული თეორიების ანალიზის შემდეგ ავტორი იძლევა რეკომენდაციებს, თუ როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს ქმედება მაშინ, როცა საფრთხის შემქმნელი დელიქტის მცდელობას მძიმე შედეგი მოჰყვება და დასაბუთებულია საკითხის ავტორისეული გადაწყვეტის უპირატესობაც. აღნიშნული პრობლემა მჭიდრო კავშირშია ქმედების კვალიფიკაციასა და სასჯელის დანიშვნასთან, რაც საკითხის განსაკუთრებულ პრაქტიკულ მნიშვნელობაზე მეტყველებს. დისერტაციაში დასაბუთებულია საფრთხის დელიქტებში დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობა და განხილულია ხელყოფის დელიქტებში ნებაყოფლობით ხელის აღების თანაფარდობა საფრთხის შემქმნელ დელიქტებთან

მაღბაზ ლომსაძე საქართველოს სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი (მეორე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა) გამომცემლობა „უნივერსალი“ თბილისი 2014- ნაშრომში სამეცნიერო კვლევითი მეთოდების გამოყენებით განხილულია საქართველოს სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის ყველა დებულება, დასმულია რამოდენიმე საკანონმდებლო წინადადება.

გარდა ამისა, ნაშრომში გამოყენებულია ნორმატიული მასალაც, კერძოდ: საქართველოს კონსტიტუცია; საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 9 იანვრის გადაწყვეტილება, N1049აპ.

ქართულ ლიტერატურასთან ერთად დახმარება გაგვიწია და ინფორმაციული გამოდგა უცხოური ლიტერატურაც, რომელიც ან ინტერნეტით მოვიძიე, ანდა ქართულ მასალებში იყო მოხსენიებული. ასეთები იყო: Grin M.V. Neokonchennoe prestuplenie: Dis. ... kand. urid. nauk - Krasnodar, 2003; Шевелева С.В. Свобода воли и принуждение в уголовном праве: Автореферат дисс. ... доктора юрид. наук. - М., 2015. Шамина М. А. Признаки добровольного отказа от совершения преступления // Актуальные проблемы гуманитарных и естественных наук. - 2011. - № 10. - С. 203-207. და სხვები.

თავი II. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შემადგენლობა

2.1. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების არსი

კანონმდებელი, კანონით დაცულ საზოგადოებასთან ურთიერთობის, ისევე როგორც უშუალოდ დაზარალებულისათვის ზიანის შემცირების მიზნით, ითვალისწინებს პირის შემდგომი დანაშაულის მიღებაზე, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობას. მიუხედავად იმისა, რომ პირთა ქმედებები, რომლებიც ნებაყოფლობით ხელს აღებენ დანაშაულის დასრულებაზე, სოციალურად საშიშია, ზოგადი და პირადი პროფილაქტიკის მიზნით, ეს პირები თავისუფლდებიან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან.

პირის უარი თქმა დანაშაულებრივ განზრახვაზე, რეგულირდება განსაზღვრული მუხლით, მოცემულია დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების იურიდიული განმარტება, ეს ნიშნავს პირის მიერ დანაშაულისთვის მზადების შეწყვეტას ან ქმედებების (უმოქმედობის) შეწყვეტას, რომლებიც პირდაპირ გამიზნულია დანაშაულის ჩადენაზე, თუ პირმა გააცნობიერა დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობა.

პირის ნებით დანაშაულებრივი საქმიანობის ყველა შეფერხება არ შეიძლება ჩაითვალოს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებად. როგორც "წახალისება"⁵ ნორმის მიხედვით, სისხლის სამართალში, რომელიც იყენებს ძირითადად იმპერატიულ მეთოდს, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შესახებ მუხლი განსაზღვრავს მთელ რიგ პირობებს, რომლის თანახმად, პირი არ ექვემდებარება სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების პირობები გათვალისწინებულია არა მხოლოდ იურიდიულ განმარტებაში, რაც, ჩვენი აზრით, ლოგიკური იქნებოდა, არამედ იურიდიულ დეფინიცირებაში შევსებულ სხვა ნაწილებშიც, და, შესაბამისად, შეუძლებელია დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების პრაქტიკული განსაზღვრება, მხოლოდ მისი იურიდიული განმარტების დაფიქსირებით. ჩვენი აზრით, ნებისმიერი განმარტება უნდა ასახავდეს სასურველი ფენომენის ყველა ნიშანს.

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების პირობების გაანალიზებით, პირველ რიგში აუცილებელია იმის დადგენა, თუ რა ეტაპზეა დანაშაულის ჩადენა.

პირველი პირობა არის, რომ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება შესაძლებელია დანაშაულის მომზადების ან დანაშაულის მცდელობისთვის ეტაპზე. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება შეუძლებლობა დასრულებული დანაშაულის ეტაპზე ეს ასახულია დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების განსაზღვრაში.

⁵ სვერჩოვი ვ.ვ. დანაშაულის ნებაყოფლობითი უარის თქმის ადგილი სისხლის სამართლის სისტემაში, გვ. 28.

საკანონმდებლო მნიშვნელობით, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება შესაძლებელია მხოლოდ დანაშაულის დასრულებამდე - მომზადების ან მცდელობის ეტაპზე. დანაშაულის ჩადენის შემდეგ, პოზიტიური პოსტკრიმინალური ქცევა (მოპარული ქონების დაბრუნება, ზიანის შემსუბუქება, აღიარება და ა.შ.) შეიძლება ჩაითვალოს სასჯელის შემსუბუქებელ გარემოებად, მაგრამ ეს არ არის ისეთი გარემოება, რომელიც გამორიცხავს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობა დანაშაულისთვის მომზადების ეტაპზე აღნიშნება პრაქტიკოსთა და სისხლის სამართლის თეორეტიკოსთა შორის. ამასთან, თეორიულად გადაუჭრელი კითხვა რჩება დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების განმარტება მიუთითებს "ქმედებების შეწყვეტაზე (უმოქმედობა), რომლებიც პირდაპირ მიმართულია დანაშაულის ჩადენაზე." ამასთან, სისხლის სამართლის თეორიაში არ არსებობს კონსენსუსი განხორციელებული ქმედებების ახსნის ასპექტში. ს.ვ. შეველეევამ თავის სადისერტაციო კვლევაში მიუთითა: "თავისუფალი ნების თვალსაზრისით, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება შესაძლებელია მხოლოდ დაუმთავრებელი მცდელობის ეტაპზე (" მე არ მსურს აქტის ჩადენა ")⁶ პოზიცია, რომელშიც ნებაყოფლობითი მიტოვება შეუძლებელია დასრულებული მკვლელობის მცდელობის ეტაპზე, ამავე მოსაზრებას აწვითარებენ პ. სვიატოხინი და კ. პ. ანკო დაუმთავრებელი დანაშაული არის კრიმინალური საქმიანობის სახეობა. დანაშაული ბოლომდე არ ხორციელდება დამნაშავე მხარის კონტროლის მიღმა მიზეზების გამო (დაზარალებულის წინააღმდეგობა, დანაშაულის ჩადენის დროს პირის დაკავება, დანაშაულის ჩადენის საშუალებების უვარგისობა და ა.შ.). ნებაყოფლობით ხელის აღების შემთხვევაში, პირი არ ჩაიდენს დანაშაულს, იგი უარს ამბობს მისი განზრახვების შესრულებაზე. კანონი გამორიცხავს თავად სუბიექტის მიერ შეწყვეტილ ქმედებებზე პასუხისმგებლობის შესაძლებლობას. გამომდინარე იქიდან, რომ დაუმთავრებელი დანაშაული და დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება არის დამოუკიდებელი სისხლის სამართლის ინსტიტუტები.

ნებაყოფლობით ხელის აღება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც პირის ქმედებებს ან უმოქმედობას ჯერ კიდევ არ აქვს დამთავრებელი ან დაუმთავრებელი დანაშაულის ნიშნები, ჩვენ ასეთ ქმედებებს დაუსრულებელი დანაშაული ვუწოდოთ.

არასრული თავდასხმის გაგება უნდა მოხდეს, როგორც პირი, რომელიც ასრულებს ქმედებებს, რომლებიც მიზნად ისახავს დანაშაულის ჩადენის პირობების შექმნას და ქმედებები

⁶ Шевелева С.В. Свобода воли и принуждение в уголовном праве: Автореферат дисс. ... доктора юрид. наук. - М., 2015 გვ.11

(უმოქმედობა), უშუალოდ მიმართულია სისხლის სამართლის დაცვის ობიექტის ზიანის მიყენებისკენ, რაც ინარჩუნებს გაგრძელების შესაძლებლობას.

დაუმთავრებელიშეიძლება წარმოდგენილი იყოს დანაშაულის ჩასადენად შექმნის პირობების სახით (არ არის გათვალისწინებული დანაშაულის მომზადების ნიშნები) და ქმედებები, რომლებიც პირდაპირ მიმართულია დანაშაულებრივი შედეგის მისაღწევად (არ არის გათვალისწინებული დანაშაულის მცდელობის ნიშნები). ქმედების (უმოქმედობა) შესრულებისას, რომლებიც უშუალოდ დანაშაულის ჩადენისკენ არის მიმართული, ნებაყოფლობით ხელის აღება დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ფორმით უნდა განხორციელდეს დანაშაული - აქტიური ქმედებებით ან უმოქმედობით. თუ corpus delicti უნდა განხორციელდეს უმოქმედობის ფორმით, მაშინ ნებაყოფლობითი უარი ვლინდება იმ აქტიურ ქმედებებში, რომლებიც სისხლის სამართლის კანონი მოითხოვს. როდესაც უშუალოდ დანაშაულის ჩადენისკენ მიმართული ქმედებები უნდა განხორციელდეს აქტიური მოქმედებების სახით, პირმა არ უნდა შეასრულოს ისინი, ანუ თავი შეიკავოს დანაშაულის ბოლომდე მიყვანა.

გამომდინარე იქიდან, რომ დანაშაულის მატერიალური ელემენტები დასრულებულად მიჩნეულია დანაშაულებრივი შედეგების დაწყების მომენტიდან, შეგიძლიათ ნებაყოფლობით ხელის აღება დანაშაულებრივი შედეგების დაწყებამდე, ანუ, როდესაც ადამიანი ასრულებს ყველა მოქმედებას (უმოქმედობა), რომელიც პირდაპირ არის მიმართული დანაშაულის ჩადენისკენ.

თუ გავითვალისწინებთ ნებაყოფლობითი ხელის აღების თავისებურებას სხვადასხვა როლების დანაშაულში პარტნიორების შესრულებაში, მივდივართ დასკვნამდე, რომ დანაშაულის თანამონაწილეზე ნებაყოფლობით ხელის აღების საკითხი უნდა განიხილებოდეს დანაშაულის ჩადენის ჯგუფურ მეთოდთან მიმართებაში.

როდესაც ვსაუბრობთ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების გამო დამნაშავის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების და ევენტუალური განზრახვით მცდელობის დასჯადობის ურთიერთმიმართებაზე, უპრიანი იქნება ამ საკითხის განხილვა შემდეგი მაგალითის მოშველიებით: მაგალითად, „ა“-მ განზრახ ძლიერ სცემა თავისი ცოლი „ბ“ და ამავდროულად უშვებდა სასიკვდილო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ „ა“-ს არ სურდა „ბ“-ს სიკვდილი. ცემის შედეგად „ბ“-მ ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება მიიღო, კერძოდ, თავის არეში მრავლობითი ჭრილობა. „ა“-მ შემდგომი, სასიკვდილო შედეგის თავიდან აცილების მიზნით „ბ“ წაიყვანა და საავადმყოფოს მახლობლად დატოვა იმ იმედით, რომ ვინმე დაინახავდა და საავადმყოფოში სამედიცინო დახმარების გასაწევად შეიყვანდა. ცოტა ხნის შემდეგ, ქვეითად მოსიარულეებმა შეამჩნიეს „ბ“ უგონო მდგომარეობაში და შეიყვანეს იგი საავადმყოფოში სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად. სამედიცინო დახმარების შედეგად „ბ“

გადარჩა. შემდგომ როგორც გაირკვა, რომ არ აღმოეჩინათ „ბ“ ქვეითად მოსიარულეებს და არ მიეყვანათ საავადმყოფოში სამედიცინო დახმარებისთვის, „ბ“ გარდაიცვლებოდა⁷. იბადება კითხვა: შეიძლება თუ არა „ა“ გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისგან დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების გამო? ამ მაგალითის მიხედვით „ა“-ს პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება დანაშაულზე ხელის აღების გამო შეიძლება საკამათო იყოს, რამდენადაც „ა“-მ, მართალია, „ბ“ საავადმყოფოსთან ახლოს დატოვა, მაგრამ ხომ შეიძლებოდა უგონო მდგომარეობაში მყოფი „ბ“ ქვეითად მოსიარულეებს არც აღმოეჩინათ. მოყვანილ მაგალითში „ა“-ს არ მიუღია მის ხელთ არსებული ყველა საშუალება შედეგის თავიდან ასაცილებლად და შედეგის თავიდან აცილება შემთხვევითობის ნაყოფს წარმოადგენდა. ასეთ შემთხვევაში მართებულია დამნაშავისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებისთვის და არა მკვლელობის მცდელობისთვის. თუკი დანაშაულის მცდელობა შესაძლებელი იქნება არაპირდაპირი განზრახვით, მაშინ უნდა ვაღიაროთ განზრახვის ამავე სახით დანაშაულის ბოლომდე განხორციელებისგან ხელის აღების შესაძლებლობაც. იქ, სადაც დანაშაულის მცდელობა შეიძლება, არ უნდა გამოირიცხოს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობაც.

თუმცა, ერთ-ერთი თეორიის (estleistungstheorie) მიხედვით დანაშაულზე ხელის აღებას მაშინ აქვს ადგილი, როცა დამნაშავემ მისი პერსპექტივიდან შედეგის ასაცილებლად ოპტიმალური ქმედება განახორციელა, რაც ევენტუალური განზრახვით შეუძლებელია. მაშასადამე, შეუძლებელია დანაშაულზე ხელის აღება უგულოდ (halbherzig) განხორციელებული ქმედებით. შანსის მიცემის თეორია (Chanceneröffnungstheorie), პირიქით, დანაშაულზე ხელის აღებისთვის საკმარისად მიიჩნევს ისეთ ქმედებას, რომელიც მიზეზობრივად დანაშაულის თავიდან აცილებას გამოიწვევს. აღნიშნული თეორიის მომხრეთა თვალსაზრისით კანონმდებელმა აირჩია პრინციპი: კარგად დასრულებისას ყველაფერი კარგადაა („Ende gut, alles gut“).⁸ აღნიშნული თეორიის მიხედვით არ არის აუცილებელი, რომ დამნაშავემ ამოწუროს მის ხელთ არსებული ყველა საშუალება, რომელიც დანაშაულგერივი შედეგის თავიდან აცილებას შეუწყობს ხელს. ასეთი მიდგომით დანაშაულისგან ხელის აღება ირიბი განზრახვითაც შეიძლება.

როგორც ცნობილია, საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით ისჯება არა მხოლოდ დამთავრებული დანაშაული, არამედ დანაშაულის მომზადება და მცდელობაც. მაგრამ, საინტერესოა, არის კი შესაძლებელი საფრთხის შემქმნელი დელიქტების მცდელობა? საფრთხის შემქმნელი დელიქტები ხომ მცდელობის მსგავს სტადიაზეა დამთავრებული და

⁷ თ. ცქიტიშვილი, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები. დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 2014 გვ. 210

⁸ იქვე, გვ.211

რამდენად არის აქედან გამომდინარე ამ დელიქტების მომზადებასა და მცდელობაზე საუბარი საფუძვლიანი? კითხვაზე, არის თუ არა საფრთხის დელიქტების მომზადება და მცდელობა შესაძლებელი, თ. წერეთელი პასუხობს, რომ საფრთხის დელიქტების მცდელობა შესაძლებელია, მაგრამ იგი იმდენად მცირე საშიშროებას შეიცავს, რომ მისი დასჯადობა გაუმართლებელი იქნებოდა. მისი აზრით საფრთხის დელიქტების მცდელობის დასჯადობა იმიტომ არის გაუმართლებელი, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში დამნაშავეს წაერთმეოდა დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობა.⁹

ვინაიდან საფრთხის შემქმნელი დელიქტები სამართლებრივი სიკეთისთვის საფრთხის შექმნის ეტაპზეა დამთავრებული, საკამათოა, არის თუ არა დანაშაულზე ხელის აღება საფრთხის დელიქტებში შესაძლებელი. როგორც წესი, დანაშაულზე ხელის აღება შესაძლებელია დანაშაულის მომზადების ან მცდელობის სტადიაზე, მაგრამ საფრთხის შემქმნელი დელიქტი ხომ დანაშაულის მცდელობის სტადიაზე უკვე დამთავრებულია. ე. ჰილგენდორფი საფრთხის შემქმნელი დელიქტების ბუნებიდან გამომდინარე შეუძლებლად მიიჩნევს საფრთხის დელიქტებში დანაშაულის ბოლომდე განხორციელებისაგან ხელის აღებას. თუმცა, იგი მიზანშეუწონლად თვლის დამნაშავესთვის სასჯელისაგან განთავისუფლების ყველანაირი შესაძლებლობის ჩამორთმევას, თუ დამნაშავე დანაშაულის ფორმალურად დასრულების მერე ხელს უწყობს შემდგომი უფრო დიდი ზიანის დადგომის თავიდან აცილებას. ჰილგენდორფის მოსაზრებით, დანაშაულის ფორმალური დასრულების შემდგომ დამნაშავე შეიძლება განთავისუფლდეს ქმედითი მონანიების საფუძველზე. საფრთხის შემქმნელ დელიქტებში ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობის უარყოფა არ შეიძლება მართებულად ჩაითვალოს. საფრთხის შემქმნელი ზოგიერთი დელიქტის მომზადება და მცდელობა შესაძლებელია. შესაბამისად, ამ დელიქტებში ნებაყოფლობით ხელის აღებაც შესაძლებლად უნდა ვცნოთ. იმ დელიქტებში, სადაც მომზადება და მცდელობა შეიძლება, ნებაყოფლობით ხელის აღებაც არ უნდა გამოირიცხოს. ნებაყოფლობით ხელის აღება შესაძლებელია მაგალითად, უკანონო აბორტის შემთხვევაში, ვინაიდან აღნიშნული დანაშაულის მცდელობა შეიძლება და იგი ე. წ. შუალედურ შედეგსაც გულისხმობს მუცლის მოშლის სახით. მაგალითად, თუ ექიმმა დაიწყო გარკვეული მოქმედებები ორსული ქალისთვის მუცლის მოსაშლელად, მაგრამ დაწყებული ქმედება ბოლომდე არ მიიყვანა და ორსული ქალისთვის მუცლის მოშლამდე ხელი აიღო დანაშაულის ბოლომდე განხორციელებაზე, თუმცა ჰქონდა იმის შესაძლებლობა, რომ დანაშაულგებრივი ქმედება ბოლომდე განეხორციელებინა.

⁹ თ. წერეთელი, საზოგადოებრივი საშიშროება და მართლწინააღმდეგობა სისხლის სამართალში, თბ., 2006, გვ. 219-220; მისივე, სისხლის სამართლის პრობლემები, IV ტომი, თბ., 2010, გვ. 231

ასეთ დროს ექიმი უნდა განთავისუფლდეს სასჯელისაგან დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების გამო.

ნებაყოფლობით დანაშაულის განხორციელებისგან ხელის აღების შინაარსთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრებებია გამოთქმული იურიდიულ ლიტერატურაში. ავტორთა ნაწილი თვლის, რომ ნებაყოფლობით დანაშაულზე ხელის აღების დროს ქმედება კარგავს მართლსაწინააღმდეგო და სოციალურად საშიშ ხასიათს.¹⁰ აღნიშნული შეხედულება არ შეიძლება მართებულად ჩაითვალოს. ქმედება თავიდანვეა მართლზომიერი, ან მართლსაწინააღმდეგო და სოციალურად საშიში. თუ ქმედება თავიდან მართლსაწინააღმდეგო და სოციალურად საშიშია, მერე არ შეიძლება განხორციელებული ქმედება ნებაყოფლობით ხელის აღების გამო მართლზომიერი და საზოგადოებრივად სასარგებლო გახდეს, ვინაიდან მართლწინააღმდეგობა, ისევე როგორც მართლზომიერება, ობიექტური ხასიათისაა. თუ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება განხორციელებულ ქმედებას მართლზომიერად და საზოგადოებისთვის სასარგებლოდ აქცევს, გამოდის, რომ ის რაც განხორციელდა დანაშაულის მომზადებად ან მცდელობად არ შეიძლება მივიჩნიოთ, ვინაიდან დანაშაულის მომზადების და მცდელობის დასჯადობის ერთ-ერთ საფუძველს ქმედების მართლწინააღმდეგობა წარმოადგენს. მაგრამ, საკითხის ასეთი გადაწყვეტა არასწორია. დანაშაულებრივი ქმედების ნებაყოფლობით შეწყვეტის დროს დანაშაული (მომზადება ან მცდელობა) ჩადენილია, მაგრამ მისი ჩამდენის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება სისხლის სამართლის პოლიტიკის საფუძველზე ხდება.¹¹

საფრთხის შემქმნელი დელიქტებიდან ზოგიერთი ე.წ. შეკვეცილ დელიქტებს მიეკუთვნება. შეკვეცილი დელიქტები თავის მხრივ, ნამდვილ და არანამდვილ შეკვეცილ დელიქტებად იყოფა. ნებაყოფლობით ხელის აღება მცდელობის სტადიაზე გამოირიცხება წმინდა შეკვეცილ დელიქტებში, მაშინ, როცა არანამდვილ შეკვეცილ დელიქტებში ამის შესაძლებლობა არსებობს. მაგალითად, ყაჩაღობის, როგორც შეკვეცილი საფრთხის დელიქტის მცდელობა შეუძლებელია, რის გამოც ამ დელიქტში ნებაყოფლობით დანაშაულისგან ხელის აღება შესაძლებელია მხოლოდ მომზადების (და არა მცდელობის) ეტაპზე. იურიდიულ ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება, რომ ნებაყოფლობით ხელის აღება საფრთხის შემქმნელ დელიქტებში შესაძლებელია შემადგენლობის ფორმალურად დამთავრების შემდგომაც, მატერიალური გაგებით დანაშაულის დასრულებამდე ანუ შედეგის განხორციელებამდე.

¹⁰ თ.წერეთელი, სისხლის სამართლის პრობლემები, I ტომი, თბ., 2007, გვ. 533; ი.დვალიძე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2007, გვ. 175.

¹¹ ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, III ტომი, თბ., 2013, გვ. 253; მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, თბ., 2013, გვ. 322

წარმოდგენილი მოსაზრება სამართლიანად გააკრიტიკა თ. წერეთელმა, რომელიც აღნიშნავდა, რომ მოსამართლეს დანაშაულის დამთავრების საკითხის გადასაჭრელად არ შეიძლება ჰქონდეს სხვა კრიტერიუმი, გარდა საკანონმდებლო მითითებისა, ქმედების შემადგენლობის საკანონმდებლო აღწერილობისა. მისი თვალსაზრისით, თუ შეკვეცილ შემადგენლობებში დანაშაულის ფორმალურად დამთავრების შემთხვევაში მოსამართლე დანაშაულს არ ჩათვლიდა დამთავრებულად, ეს იქნებოდა მოსამართლის თავისუფალი შეხედულების მეტისმეტი გაფართოება. ვინაიდან საფრთხის შემქმნელ დელიქტებში დანაშაული იმ მომენტშია დამთავრებული, როცა სამართლით დაცულ სიკეთეს საფრთხე შეექმნა, აქ ნებაყოფლობით ხელის აღებას დანაშაულზე არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს. თუ დანაშაულს შედეგის დადგომამდე არ ვცნობდით დამთავრებულად, მიუხედავად ქმედების საკანონმდებლო აღწერილობისა, ამით ყველა დანაშაულს შედეგიან დანაშაულად გამოვაცხადებდით და შეუძლებელი გახდებოდა დანაშაულთა დაყოფა შედეგიან და შედეგგარეშე დანაშაულად. საფრთხის შემქმნელი დელიქტების არსებობა კი აზრს დაკარგავდა¹².

საკითხისადმი ასეთი მიდგომა ხელს ვერ შეუწყობდა სამართლებრივი სიკეთის სათანადოდ დაცვას. კანონმდებელს დანაშაულის დამთავრების მომენტი ადრეულ სტადიაზე ხშირად იმიტომ გადმოაქვს, რომ ქმედება მეტად საშიშია და საქმე ეხება განსაკუთრებული მნიშვნელობის სამართლებრივი სიკეთის დაცვას. ყოველივე აღნიშნულის იგნორირება დამნაშავის ინტერესების დაცვა უფრო იქნებოდა, ვიდრე დაზარალებულის. გარდა ამისა, ქმედების შემადგენლობის საკანონმდებლო აღწერილობის გაუთვალისწინებლობით და დანაშაულის დამთავრების მომენტად ყოველთვის შედეგის დადგომის მიჩნევით ირღვევა კანონიერების პრინციპი, რომელიც სისხლის სამართლის ქვაკუთხედიანია. დანაშაულის იურიდიული დამთავრების მერე, მართალია, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება შეუძლებელია, მაგრამ, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის გათვალისწინებით, მაინც შესაძლებელია დამნაშავის გათავისუფლება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან ქმედითი მონანიების გამო ან სასჯელის შემსუბუქება. საქართველოს სსკ-ის 68-ე მუხლის თანახმად, ვინც პირველად ჩაიდენს დანაშაულს, რომლისთვისაც გათვალისწინებულია სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთა, შეიძლება გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ დანაშაულის ჩადენის შემდეგ ნებაყოფლობით გამოცხადდა ბრალის აღიარებით, ხელი შეუწყო დანაშაულის გახსნას და აანაზღაურა ზიანი. უფრო მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენი შეიძლება მაშინ გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან,

¹² ქ. მჭედლოშვილი-ჭედრიხი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ., 2011, გვ. 86.

თუ ეს გათვალისწინებულია სსკ-ის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით.¹³ სასჯელის დანიშვნის დროს მხედველობაში მიიღება ქმედების განხორციელების სახე, ხერხი, მართლსაწინააღმდეგო შედეგი, ყოფაქცევა ქმედების განხორციელების შემდეგ და სხვ. აღნიშნული ნორმის თანახმად, სასჯელის შემამსუბუქებელი გარემოება შეიძლება გახდეს ის, რომ დამნაშავემ დანაშაულებრივი ქმედების განხორციელების შემდგომ ხელი შეუშალა დანაშაულებრივი შედეგის განხორციელებას.

საფრთხის შემქმნელი დელიქტის გამო როდესაც განვიხილავთ ნებაყოფლობით ხელის აღების საკითხს, ჩნდება კითხვა, თუ რა მიმართება არსებობს მკვლელობისგან ნებაყოფლობით ხელის აღებასა და სიცოცხლისთვის საფრთხის შემქმნელ დელიქტებს შორის. როგორც ცნობილია, ნებაყოფლობით ხელის აღება პასუხისმგებლობისგან განთავისუფლებას იწვევს მაშინ, როცა განხორციელებული ქმედება არ შეიცავს სხვა დამთავრებული დანაშაულის ნიშნებს. ჩნდება კითხვა, მკვლელობისგან ნებაყოფლობით ხელის აღება გამოიწვევს თუ არა დამნაშავის სრულად განთავისუფლებას პასუხისმგებლობისგან? მკვლელობისგან ნებაყოფლობით ხელის აღება როგორც მკვლელობის მომზადების, ისე მცდელობის სტადიაზე შეიძლება განხორციელდეს. მკვლელობის მცდელობა ისეთ ქმედებას გულისხმობს, რომელიც ადამიანის სიცოცხლეს კონკრეტულ საფრთხეს უქმნის. საქართველოს სსკ-ში მოცემულია ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელი დელიქტების შემადგენლობანი. აქედან გამომდინარე, შეიძლება დაისვას კითხვა, ის ვინც ნებაყოფლობით აიღებს ხელს მკვლელობისგან, პასუხს ხომ არ აგებს საფრთხის შემქმნელი დელიქტის განხორციელებისთვის? აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრებებია გამოთქმული. ავტორთა ერთი ნაწილი თვლის, რომ ხელყოფის დელიქტის ბოლომდე განხორციელებისგან ხელის აღება ყოველთვის არ იწვევს დამნაშავის სრულად განთავისუფლებას პასუხისმგებლობისგან. დამნაშავე ნებაყოფლობით ხელის აღების გამო შეიძლება არ დაისაჯოს ხელყოფის დელიქტის მცდელობისთვის, მაგრამ, თუ განხორციელებული ქმედება წარმოადგენს სსკ-ით გათვალისწინებულ საფრთხის შემქმნელ დელიქტს, დამნაშავე საფრთხის შემქმნელი დელიქტის განხორციელებისთვის დაისჯება.

აღნიშნული დებულების მიხედვით, მკვლელობისგან ნებაყოფლობით ხელის აღება არ იწვევს დამნაშავის სრულ განთავისუფლებას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან. ის ვინც ხელს აიღებს მკვლელობისგან, უნდა განთავისუფლდეს პასუხისმგებლობისგან მკვლელობის მცდელობისთვის, მაგრამ დაისჯება საფრთხის შემქმნელი დელიქტის გამო¹⁴.

¹³ სსკ-ის კერძო ნაწილის 203-ე, 221-ე, 223-ე, 339-ე, 3391 -ე, მუხლები. სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილი

¹⁴ თ. ცქიტიშვილი, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები. თბ., 2014. გვ. 259

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, მეტად მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, თუ როგორი საფრთხის შემქმნელი დელიქტის შემადგენლობას ქმნის ის ქმედება, რომელიც განხორციელდა. თუ კონკრეტული საფრთხის დელიქტს, მაშინ ავტორთა ნაწილის აზრით, ნებაყოფლობით ხელის აღების გამო დამნაშავე სრულად შეიძლება განთავისუფლდეს პასუხისმგებლობისგან, მაგრამ, თუ ქმედებით აბსტრაქტული საფრთხის დელიქტის შემადგენლობა განხორციელდა, დამნაშავე პასუხს აგებს აბსტრაქტული საფრთხის დელიქტის განხორციელებისთვის, ვინაიდან, ქმედება გენერალურ საშიშროებას ქმნის, რაც კონკრეტული საფრთხის საზღვრებს სცდება. მცდელობის სტადიაზე ნებაყოფლობით ხელის აღება შეიძლება მოიცავდეს კონკრეტული საფრთხის შექმნას, მაგრამ არა აბსტრაქტულ საფრთხეს, რამდენადაც აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში ქმედების საშიშროების, და შესაბამისად, დასჯადობის ფარგლები უფრო წინარე ეტაპზეა გადმოტანილი.

ბ. იენკე განსხვავებულ შეხედულებას აყალიბებს. მისი მოსაზრებით, მკვლელობისგან ნებაყოფლობით ხელის აღების დროს დამნაშავე მკვლელობის მცდელობისთვის პასუხისმგებლობისგან თავისუფლდება, მაგრამ იგი უნდა დაისაჯოს სხვისი სიცოცხლის საფრთხეში ჩაყენებისთვის. იენკეს თვალსაზრისით, მნიშვნელობა არა აქვს იმას, დამნაშავეს მიერ უკვე განხორციელებული ქმედება კონკრეტული საფრთხის შემქმნელი დელიქტის შემადგენლობას ქმნის, თუ აბსტრაქტული საფრთხის. იენკეს მოსაზრება მართებულად შეიძლება ჩაითვალოს. მკვლელობისგან ნებაყოფლობით ხელის აღების გამო პასუხისმგებლობისგან დამნაშავეს სრულად გასათავისუფლებად გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს არა იმას, უკვე განხორციელებული ქმედებით კონკრეტული საფრთხე შეექმნა დაცულ სიკეთეს, თუ აბსტრაქტული საფრთხე, არამედ იმას, დამნაშავეს მიერ უკვე განხორციელებული ქმედება ქმნის თუ არა სხვა დამთავრებული ქმედების შემადგენლობას. მიუხედავად იმისა, ეს საფრთხე იმავე სიკეთეს შეექმნა, თუ სხვა სიკეთეს. ისეთ შემთხვევას, როცა დანაშაულის მცდელობა სხვა დანაშაულის დასრულებულ ქმედების შემადგენლობას შეიცავს, ლიტერატურაში კვალიფიცირებულ მცდელობას უწოდებენ.¹⁵

გერმანულ სისხლის სამართლის მეცნიერებაში ნებაყოფლობით ხელის აღების შედეგებთან და ქმედების კვალიფიკაციასთან დაკავშირებით ზემოთ განხილული შეხედულებებისგან განსხვავებული თვალსაზრისიცაა გამოთქმული, რომლის მიხედვით, ხელყოფის დანაშაულისგან ნებაყოფლობით ხელის აღებისას მოქმედი პირი საერთოდ თავისუფლდება სასჯელისგან და მას პასუხისმგებლობა საფრთხის შემქმნელი დელიქტის განხორციელებისთვისაც არ ეკისრება. მაშასადამე, ნებაყოფლობით ხელის აღებისას იმავე ქმედებით არ

¹⁵ თ. ცქიტიშვილი, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები. თბ., 2014. გვ. 259-260

ვიღებთ ფორმალურად დამთავრებული დელიქტის სისხლისსამართლებრივად დასჯად ქმედებას.¹⁶

აღნიშნული მოსაზრების ავტორთა შეხედულებით, საკითხის სხვაგვარად გადაწყვეტა წინააღმდეგობაში მოდის სსკ-ის იმ ნორმასთან, რომელიც ნებაყოფლობით დანაშაულის ბოლომდე განხორციელებისგან ხელის აღების ინსტიტუტს ითვალისწინებს. დასახელებული ნორმის გამოყენება საფრთხის შემქმნელი დელიქტის განხორციელებისთვის დამნაშავის დასასჯელად ადგილს არ ტოვებს. მნიშვნელობა არა აქვს იმას, განხორციელებული ქმედება წარმოადგენს თუ არა იმ დანაშაულის მომზადებას ან მცდელობას, რომლისგანაც მოხდა ხელის აღება. მათი აზრით, საკითხის ამგვარი გადაწყვეტა უნდა მოხდეს იმისგან დამოუკიდებლად, სისხლის სამართლის კოდექსით აღნიშნული ქმედება როგორც აბსტრაქტული საფრთხის დელიქტი ისე ისჯება, თუ როგორც კონკრეტული საფრთხის დელიქტი.

არ შეიძლება გაზიარებული იქნეს იმ ავტორთა შეხედულება, რომლებიც თვლიან, რომ ნებაყოფლობით ხელის აღებისას დამნაშავე სრულად უნდა განთავისუფლდეს პასუხისმგებლობისგან და არ უნდა დაისაჯოს მოქმედი პირი როგორც ხელყოფის დანაშაულის მცდელობის, ისე საფრთხის შემქმნელი დელიქტის განხორციელებისთვის. ნებაყოფლობით ხელის აღების დროს დამნაშავეს პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების გარანტია კანონმდებელმა მხოლოდ იმ ქმედებასთან დაკავშირებით მისცა, რომლის ბოლომდე განხორციელებისგანაც აიღო ხელი. მაგრამ, თუ განხორციელებული ქმედება სხვა დამთავრებული დანაშაულის შემადგენლობას ქმნის დამნაშავეს პასუხისმგებლობა სწორედ ამ უკანასკნელი ქმედებისთვის უნდა დაეკისროს, ვინაიდან იგი დასრულებული ფორმით უკვე განხორციელებულია და მისგან ნებაყოფლობით ხელის აღებაც შეუძლებელია.

საკითხის სწორად გადასაწყვეტად მეტად მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ როგორ შევაფასებთ განხორციელებულ ქმედებას. კერძოდ, შევაფასებთ მას მხოლოდ როგორც ხელყოფის დანაშაულის მომზადებას ან მცდელობას, თუ როგორც ქმედებას, რომელსაც საფრთხის შემქმნელი დამოუკიდებელი შემადგენლობის მოცემა შეუძლია. თუ ჩვენ შესაბამის ქმედებას მხოლოდ ხელყოფის დანაშაულის მომზადებად ან მცდელობად დავაკვალიფიცირებთ, მოგვიწევდა დამნაშავის სრულად განთავისუფლება პასუხისმგებლობისგან, მაგრამ, თუ ქმედებას ამავდროულად საფრთხის შემქმნელ დელიქტად შევაფასებთ, დამნაშავის სასჯელისგან სრულად განთავისუფლება შეუძლებელი გახდება. ავტორთა ნაწილი ასეთ დროს დამნაშავის სასჯელისგან სრულად განთავისუფლებაზე უარის თქმის მიზანშეწონილობას იმით ასაბუთებს, რომ იმავე დაცულ სიკეთეს კონკრეტული საფრთხე ექმნება. საფრთხის შექმნა

¹⁶ თ. ცქიტიშვილი, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები. დისერტაცია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად თბ., 2014. გვ.292

ხელყოფის წინარე საფეხურია. შეუძლებელია სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა, თუ იგი ჯერ საფრთხის ზონაში არ მოხვდა.

კონკრეტული საფრთხის შემქმნელი დელიქტის შემადგენლობის განსახორციელებლად სამართლებრივი სიკეთისთვის კონკრეტული საფრთხის შექმნაც საკმარისია და საჭირო არ არის სიკეთის ხელყოფა. მიუხედავად ხელყოფის დელიქტის ბოლომდე განხორციელებისგან ხელის აღებისა, სისხლისსამართლებრივი უმართლობა მაინც განხორციელებულია. ნებაყოფლობით ხელის აღებას არ შეუძლია იმ საფრთხის განეიტრალება, რომელიც უკვე შეიქმნა. ერთ-ერთი თეორიის მიხედვით, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების გამო პასუხისმგებლობისგან განთავისუფლებისთვის საჭიროა განხორციელებული უმართლობის გამოსწორება, კომპენსირება, რასაც ადგილი არ აქვს მაშინ, როცა განხორციელებული ქმედებით საფრთხე ექმნება იმავე სიკეთეს, რომლის ხელყოფისკენ მიმართული ქმედების ბოლომდე მიყვანისგანაც აიღო ხელი დამნაშავემ.

საკითხის გადაწყვეტისას გასათვალისწინებელია ასევე კანონმდებლის პოზიცია. საქართველოს სსკ-ის 21-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ნებაყოფლობით დანაშაულის განხორციელებისგან ხელის აღების გამო სასჯელისგან სრულად განთავისუფლება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა განხორციელებული ქმედება არ შეიცავს სხვა დამთავრებული დანაშაულის ნიშნებს.

2.2. ქმედების ობიექტური შემადგენლობა

კოდექსის 21-ე მუხლი ითვალისწინებს იმ პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან განთავისუფლებას, ვინც ნებაყოფლობით აიღებს ხელს დანაშაულის ჩადენაზე. მოცემული ნორმა წამახალისებელი ნორმაა. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება უნდა განხორციელდეს მომზადების ან მცდელობის სტადიაზე. ამიტომ ცდებიან ის ავტორები, რომლებსაც დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება დაუმთავრებელი დანაშაულის სახედ მიაჩნიათ.¹⁷ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების დაუსჯელობა სისხლის სამართლის პოლიტიკით არის განპირობებული და მისი დაუსჯელობა იმით აიხსნება, რომ მართლწინააღმდეგობის ელემენტი (ნიშანი), რომელიც ახასიათებს დანაშაულს, ისპობა თვით იმ პირის მიერ, ვინც მომზადება ან მცდელობა ჩაიდინა. ასეთი ნორმის დადგენით კანონმდებელი ცდილობს შეუქმნას იმ პირს უკან დაბრუნების სტიმული, რომელიც დაადგა დანაშაულის გზას.

¹⁷ ვ. დაუთაშვილი, ა. კვაშილავა, სისხლის სამართალი (ზოგადი ნაწილი), თბ., 2003, გვ. 88.

„ . . . დანაშაულის ნებაყოფლობით შეწყვეტის დროს დანაშაული ჩადენილია, წერს ო. გამყრელიძე, ამიტომ, პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება ამ შემთხვევაში სისხლის სამართლის პოლიტიკის საფუძველზე ხდება; ამით კანონმდებელი დამნაშავეს უკან დახევის საშუალებას აძლევს. გამოჩენილი გერმანელი იურისტის ა. ფოიერბახის ხატოვანი გამოთქმა რომ ვიხმაროთ, კანონმდებელი დამნაშავეს „ოქროს ხიდს“ უშენებს უკან დასაბრუნებლად იმ შემთხვევისათვის, თუ ის დანაშაულის გაგრძელებაზე უარს იტყვის („ოქროს ხიდის“ თეორია)“.¹⁸ კოდექსის 21-ე მუხლის თანახმად, პირს არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მან დანაშაულის დამთავრებაზე ნებაყოფლობით და საბოლოოდ აიღო ხელი. როგორც კანონის განმარტებიდან ჩანს, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება გულისხმობს სამ პირობას:

ა) დანაშაული ბოლომდე არ უნდა იყოს მიყვანილი, ე.ი. დანაშაული არ უნდა იყოს დამთავრებული;

ბ) დანაშაული ბოლომდე არ უნდა მივიდეს თვით იმ პირის ნებით, ვინც დანაშაულის მომზადება ან მცდელობა ჩაიდინა;

გ) დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება საბოლოო ხასიათისა უნდა იყოს. სწორედ ჩვენს მიერ დასახელებული ბოლო ორი მომენტი („ბ“, „გ“) განასხვავებს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებისაგან დასჯად მომზადებას და მცდელობას.

„დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება გვაქვს მაშინ, როდესაც სუბიექტი ფიქრობს, რომ მას შესაძლებლობა აქვს ბოლომდე მიიყვანოს დანაშაულებრივი განზრახვა, მაგრამ გადაწყვეტს ხელი აიღოს მასზე.“¹⁹ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება გვაქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პირმა საბოლოოდ აიღო ხელი დანაშაულის ჩადენაზე, და არა მაშინ, როდესაც მან დროებით შეწყვიტა მოქმედება, რათა უფრო მოხერხებულ დროს და უფრო მოხერხებულ პირობებში განეგრძო იგი.

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება, მხოლოდ და მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, ვიდრე დამნაშავის მიერ განხორციელებული ქმედება ჯერ კიდევ არაა დამთავრებული, ანუ ქმედების პროცესი კვლავ მიმდინარეობს და მისი სხვა გზით წარმართვა არაა გამორიცხული.²⁰

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება გათავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან იმ დანაშაულისათვის, რომელზეც მან ხელი აიღო, მაგრამ თუ მის მიერ შესრულებული მოქმედება თავისთავად შეიცავს რაიმე სხვა დამთავრებული დანაშაულის

¹⁸ ო. გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბ., 2008, გვ. 171;

¹⁹ მ. ლომსაძე, საქართველოს სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი (მეორე შევესებული და გადამუშავებული გამოცემა) თბ., 2014, გვ. 72

²⁰ სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი (ავტორთა კოლექტივი) თბ., 2007, გვ. 180

ნიშნებს, იგი პასუხს აგებს ამ დამთავრებული დანაშაულისათვის.²¹ ამაზე მიუთითებს კოდექსის 21-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმად, პირს, რომელმაც ნებაყოფლობით აიღო ხელი დანაშაულის დამთავრებაზე, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ ფაქტობრივად ჩადენილი ქმედება სხვა დანაშაულს წარმოადგენს. მაგალითად, დავუშვათ დოლიძემ კოტორაშვილის მოსაკლავად დაამზადა ცეცხლსასროლი იარაღი, მაგრამ შემდეგში მისი მკვლელობა გადაიფიქრა. ასეთ შემთხვევაში, მართალია, დოლიძემ ნებაყოფლობით აიღო ხელი მკვლელობაზე, მაგრამ მან პასუხი უნდა აგოს ცეცხლსასროლო იარაღის დამზადებისათვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების პირობებია:

- ა) დაწყებული დანაშაული ბოლომდე არ უნდა იყოს მიყვანილი;
- ბ) დანაშაულზე ხელის აღება უნდა მოხდეს თვით დამნაშავის ნებით;
- გ) დანაშაულზე ხელის აღება უნდა მოხდეს საბოლოოდ;
- დ) პირს შეგნებული უნდა ჰქონდეს, რომ ბოლომდე მიიყვანს დანაშაულს და აქვს ამის შესაძლებლობა;

ე) პირის მიერ ფაქტობრივად განხორციელებული ქმედება არ უნდა შეიცავდეს სხვა დანაშაულის ნიშნებს.

ნებაყოფლობით ხელის აღების ინსტიტუტს სისხლის სამართალში განვითარების ხანგრძლივი ისტორია გააჩნია. ამ ხნის მანძილზე ნებაყოფლობით ხელის აღების შესახებ სისხლის სამართლის მეცნიერებაში ჩამოყალიბდა სხვადასხვა შეხედულება (თეორია), რომლებიც დროთა განმავლობაში ენაცვლებოდა ერთმანეთს და გაბატონებულ პოზიციას იკავებდა.

სისხლის სამართლის დოგმატიკაში, ნებაყოფლობით ხელის აღების ინსტიტუტის დასაბუთების თვალსაზრისით, ყველაზე უფრო მისაღებ თეორიად „კრიმინალ-პოლიტიკური თეორია“, კერძოდ, „ოქროს ხიდის თეორია“ ითვლება, თუმცა თანამედროვე სისხლის სამართლის დოგმატიკაში მას სხვა თეორიებიც უწევენ კონკურენციას. ამ მხრივ, განსაკუთრებით გამოირჩევა „სასჯელის მიზნის მოდიფიცირების თეორია“.²²

გარდა ამისა, ძალზედ მნიშვნელოვანია საკითხი იმის შესახებ, თუ რა ადგილი უკავია ნებაყოფლობით ხელის აღების ინსტიტუტს დანაშაულის სისტემაში. ამ საკითხთან დაკავშირებით, ქართულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში გამოთქმულია სხვადასხვა მოსაზრება, რომელთა განხილვა ყურადღებას იმსახურებს. ასევე, ფრიად საგულისხმოა ის თავისებურებები,

²¹სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი (ავტორთა კოლექტივი) თბ., 2007 გვ. 182

²² მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა. მეცხრე გამოცემა, თბ., 2013, გვ. 322.

რომლებსაც ნებაყოფლობით ხელის აღების ინსტიტუტი სისხლის სამართლის სხვა ინსტიტუტებთან ურთიერთობაში ავლენს. ყოველივე ეს კი ქმნის იმის აუცილებლობას, რომ აღნიშნული ინსტიტუტის თავისებურებანი სისხლის სამართლის სხვადასხვა ინსტიტუტებში იქნეს განხილული, მაგალითად, თანამონაწილეობის დროს, ერთიან დანაშაულებში და ა. შ.

ნებაყოფლობით ხელის აღების აუცილებელ პირობას წარმოადგენს ასევე ის ფაქტი, რომ დამნაშავემ დანაშაული ობიექტურად ბოლომდე არ უნდა მიიყვანოს. ამის მიღწევა დამნაშავეს შეუძლია როგორც საკუთარი, ასევე სხვა ძალების დახმარებით, მაგრამ მთავარია, რომ მიზეზობრიობის განვითარებაში სხვისი ძალების ჩართვა დამნაშავეს ნებას შეესაბამებოდეს. სისხლის სამართლის ლიტერატურაში, ამასთან დაკავშირებით, მოყვანილია ასეთი მაგალითი, ა.-მ ცეცხლი წაუკიდა სხვის სახლს, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა სახლის დაწვა და შეეცადა მის ჩაქრობას, თუმცა მისი ძალისხმევა საკმარისი არ აღმოჩნდა ცეცხლის ჩასაქრობად. ამ დროს მას შემოესწრნენ გამვლელები და დაეხმარნენ ცეცხლის ჩაქრობაში და სახლი დაწვას გადაარჩინეს.

არის ისეთი შემთხვევები, როდესაც დამნაშავე ნებაყოფლობით ხელს იღებს დანაშაულის ჩადენაზე და ამ პროცესში იგი აზიანებს სხვის ქონებას, რომლის დაზიანების გარეშეც, შეუძლებელი იქნებოდა უფრო მეტი სამართლებრივი სიკეთის გადარჩენა.

ზოგჯერ არის ისეთი შემთხვევები, სადაც დამნაშავეს მიერ დაწყებულ მიზეზობრიობის ჯაჭვში სხვა ძალის ჩართვა დამნაშავეს ნებას არ შეესაბამება. ეს ისეთი ვითარებაა, როდესაც დამნაშავე ნებაყოფლობით ხელს იღებს დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე, თუმცა სხვა ძალის მეშვეობით შედეგი მაინც დგება. ასეთ დროს, დამნაშავე პასუხს აგებს დანაშაულის მცდელობის ჩადენისათვის. მაგალითად, ა.-მ განიზრახა ბ.-ს მოკვლა. ამ მიზნით მან საწამლავი ჩაუყარა ბ.-ს საჭმელში. დაზარალებულის მიერ მოწამლული საჭმლის მიღების შემდეგ, ა.-მ გადაიფიქრა დანაშაულის ბოლომდე მიყვანა, იგი თავისი აქტიური მოქმედებით შეეცადა დანაშაულებრივი შედეგის თავიდან აცილებას. ამასთან, ა.-ს ჰქონდა შედეგის თავიდან აცილების რეალური შესაძლებლობა, მაგრამ ბ.-მ ისარგებლა შემთხვევით და ჩაფიქრებული თვითმკვლელობა განახორციელა.²³

ასეთი შემთხვევა, ზოგიერთი სისხლის სამართლის მეცნიერის მიერ შეფასებულია არა როგორც დანაშაულის მცდელობა, არამედ როგორც დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება. თუმცა, საკითხის ასეთი გადაწყვეტა გარკვეულ ეჭვს ბადებს, რადგან მოცემულ მსჯელობაში არ ჩანს, თუ რა არის ა.-ს ქმედების ნებაყოფლობით ხელის აღებით შეფასების საფუძველი. ამგვარი მსჯელობა დასაბუთდება მაშინ, თუ დადგინდება, რომ მოცემული დროის მოცემულ მომენტში ა.-ს ქმედების განხორციელების მიუხედავად, ბ.-ე მაინც განახორციელებდა ჩაფიქრებულ თვითმკვლელობას. მაშასადამე, როდესაც შედეგი მიზეზობრივად არ არის დაკავშირებული

²³ მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა. მეცხრე გამოცემა, თბ., 2013, გვ. 321

დამნაშავის ქმედებასთან, მაშინ მას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დამთავრებული დანაშაულისათვის არ დაეკისრება.

მაგალითად, ა.-მ მკვლელობის მიზნით ესროლა ბ.-ს და გაიქცა, ჭრილობა სასიკვდილო იყო. ცოტა ხნის შემდეგ, ა. კვლავ დაბრუნდა შემთხვევის ადგილზე, რათა ბ.-თვის დახმარება აღმოეჩინა და სიკვდილისგან ეხსნა იგი, რისი შესაძლებლობაც ობიექტურად არსებობდა, მაგრამ დაზარალებული გარდაცვლილი დახვდა, რადგან ა.-ს დამოუკიდებლად დ.-მ მოკლა იგი. მოცემულ მაგალითში, მიუხედავად იმისა, რომ შედეგი დადგა, ა.-ს შედეგი ობიექტურად არ შეერაცხება, მაშასადამე, იგი დამთავრებული დანაშაულისათვის პასუხს არ აგებს, ხოლო რაც შეეხება დანაშაულის მცდელობისათვის მის დასჯადობას, უნდა გამოირიცხოს და იგი ნებაყოფლობით ხელის აღების გამო პასუხისმგებლობისგან უნდა გათავისუფლდეს. მაგრამ ქმედება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეფასდება ასე, თუ დადგინდება, რომ ა. ალბათობის მაღალი ხარისხით დაზარალებულის გადარჩენას შეძლებდა (ნებაყოფლობით ხელის აღების დასაბუთება ალბათობის მაღალი ხარისხით).²⁴

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების დროს სუბიექტურ მომენტთან ერთად განმსაზღვრელია ობიექტური ფაქტორი, რომელიც დაუსჯელობის საფუძველს ქმნის. დამნაშავემ ობიექტურად უნდა მოსპოს ქმედების ის ნიშანი, რომელიც მას დამთავრებულ დანაშაულად გადააქცევს, მაშასადამე, მან თავიდან უნდა აიცილოს დანაშაულებრივი შედეგის დადგომა საკუთარი ან სხვა ძალების დახმარებით, თუმცა ყოველივე ეს, არ აკნინებს სუბიექტური ფაქტორის როლს ნებაყოფლობით ხელის აღების საკითხში.

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება, მხოლოდ და მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, ვიდრე დამნაშავის მიერ განხორციელებული ქმედება ჯერ კიდევ არაა დამთავრებული, ანუ ქმედების პროცესი კვლავ მიმდინარეობს და მისი სხვა გზით წარმართვა არაა გამორიცხული. მაგალითად, თუ ა.-მ ბ.-ს მოკვლის მიზნით ერთი ტყვია ესროლა და დაზარალებულის სიბრაულის გამო მეორედ აღარ სცადა მისი მოკვლა, ან არ დაახრჩო, გვექნება მკვლელობის მცდელობა²⁵. თუ ჩვენ ასეთ მოქმედებას მცდელობად არ დავაკვალიფიცირებთ, მაშინ სამართლებრივი შეფასების გარეშე რჩება პირველი მოქმედება, რომელიც უკვე წარსულის კუთვნილებად იქცა, რადგან ტყვიის გასროლა, როგორც პროცესი, უკვე დასრულებულია. ამასთან, თუ ასეთ სიტუაციაში დასაშვებად მივიჩნევთ ნებაყოფლობით ხელის აღებას, მაშინ საკითხავია, სად არის ზღვარი გასროლილი ტყვიების რაოდენობას შორის? შეიძლება თუ არა დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება ოცდაათი გასროლილი ტყვიის შემდეგ, რომლიდანაც არც ერთი არ მოხვდა დაზარალებულს, დამნაშავემ ოცდამეთერთმეტე აღარ

²⁴ მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა. მეცხრე გამოცემა, თბ., 2013, გვ. 322

²⁵ მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2000, გვ. 81.

ესროლა? რა თქმა უნდა არა, რადგან დამნაშავე ვერ აკონტროლებს მიზეზობრივი კავშირის განვითარებას.

როგორც ჩანს დანაშაულზე ნებაყოფლობითი ხელის აღებისას მთავარია შედეგის თავიდან აცილება, რომლის განხორციელება დამნაშავეს შესაძლებლად მიაჩნია. ამიტომ უნდა დავადგინდეს, რომ დანაშაულის ბოლომდე მიყვანა შეუძლებელია ობიექტურად არსებული შეფარდებითი თუ აბსოლუტური დაბრკოლების გამო. აქვე, ობიექტურ ფაქტორთან ერთად უნდა გავითვალისწინოთ დამნაშავეს სუბიექტური დამოკიდებულებაც ამ დაბრკოლების მიმართ. თუ დამნაშავე აბსოლუტურ დაბრკოლებას ადეკვატურად აღიქვამს, ნებაყოფლობით ხელის აღება გამორიცხულია. მაგალითად, ა-მ დაინახა ღია მანქანა და მისი გატაცება გადაწყვიტა, მაგრამ ახლოს რომ მივიდა, მანქანაში პოლიციელი და ძაღლი შენიშნა. თუ აბსოლუტურ დაბრკოლებას დამნაშავე არაადეკვატურად აღიქვამს, ე.ი. მან არ იცის დაბრკოლების შესახებ, ნებაყოფლობით ხელის აღება სრულიად დასაშვებია. მაგალითად, ა.-მ განიზრახა ც.-ს ტელევიზორის მოპარვა, მაგრამ ბინის კარებთან რომ მივიდა, გადაიფიქრა ქურდობა. თუმცა ც.-ს ტელევიზორი ხელოსანთან ჰქონდა წაღებული²⁶.

შეფარდებითი დაბრკოლება ართულებს, მაგრამ შეუძლებელს არ ხდის დანაშაულის ბოლომდე მიყვანას. მაგალითად, ა-მ ხელი აიღო ბ.-ს გაუპატიურებაზე მას შემდეგ, როდესაც შეიტყო რომ ინფექციური დაავადება (დიფტერია, ბოტკინი, მუნი და სხვ.) გადაედებოდა; ან ვენერიული სენით (ათაშანგი, რბილი შინკრი და სხვ.) დაავადდებოდა; ან ქალისგან შეიტყო, რომ მას მენსტრუაცია აქვს. ასეთ შემთხვევებში ადგილი აქვს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებას. სხვაგვარად უნდა გადაწყდეს საკითხი, თუ საქმე ეხება განუკურნებელ დაავადებას. მაგალითად, თუ ბოროტმოქმედი გაუპატიურებაზე ხელს აიღებს იმის გამო, რომ ქალი შიდსითაა დაავადებული, მაშინ მისი მოქმედება დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებად არ ჩაითვლება. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ შეფარდებითი დაბრკოლება ყველასათვის და ყოველთვის ერთნაირ პირობას არ წარმოადგენს.²⁷

დაბრკოლების საკითხი უნდა გადაწყდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სუბიექტის თვისებების, მდგომარეობის შესაძლებლობისა და სხვა ობიექტური თუ სუბიექტური გარემოებების გათვალისწინებით. მაგ., ქალის შიდსით დაავადება არანაირ დაბრკოლებას არ წარმოადგენს იმ პირისათვის, ვინც თვითონაა შიდსით დაავადებული. ასეთ შემთხვევაში მართებულია ვისაუბროთ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებაზე.

არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც დამნაშავე შეცდომით აფასებს შექმნილ სიტუაციას

²⁶ თ. წერეთელი, დანაშაულის მომზადება და მცდელობა, თბ., გამომც. „მერიდიანი“ 1961, გვ. 186-188

²⁷ ი. დვალიმე, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება” აღმანახი” 2004 №19 სისხლის სამართალი (III) გვ. 20-21

და დაბრკოლება მხოლოდ მის წარმოდგენაში არსებობს. „მოჩვენებითი“ დაბრკოლებისას ნებაყოფლობით ხელის აღება გამორიცხულია. მაგალითად, ა-ს ჰგონია, რომ ავტომანქანის გატაცება შეუძლებელია, მასში ჩამონტაჟებული დამცავი სიგნალიზაციის გამო. ეს შემთხვევა არ უნდა გავუთანაბროთ იმ სიტუაციას, როდესაც დანაშაულის ჩადენა შეუძლებელია პირის უმეცრების ან სხვა პიროვნული ნაკლის გამო (იხ. სსკ-ის მე-20 მუხლი), მაგრამ პირი წყვეტს ქმედების განხორციელებას. მაგალითად, თუ ა. 3 კმ-ის სიმაღლეზე მყოფი თვითმფრინავის ჩამოგდებაზე ხელს აიღებს, ამ შემთხვევაში ნებაყოფლობით ხელის აღების შესახებ საკითხი საერთოდ არ უნდა დაისვას, რადგან პირის არც ერთი მოქმედება არაა დანაშაულებრივი.²⁸

და ბოლოს, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება შეიძლება პირმა არა მარტო საკუთარი ძალებით, არამედ სხვისი დახმარებითაც განახორციელოს. მაგალითად, ექიმის, მეხანძრის და სხვათა გამოძახება. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება მხოლოდ მაშინ გაათავისუფლებს პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ მის მიერ ნებაყოფლობით მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა, რაც იმას ნიშნავს, რომ დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე უარის თქმა უნდა იყოს არა დროებითი, არამედ მუდმივი. მაგალითად, თუ ა-მ ქურდობის განხორციელება გადადო იმ მოსაზრებით, რომ მომავალ დღეს ავტომანქანას გამოიყენებდა ტვირთის გადასაზიდად არ გვექნება დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება.

ნებაყოფლობით ხელის აღების ობიექტური პირობების დახასიათებისას უნდა აღინიშნოს, რომ, შესაძლებელია, მცდელობის მომენტში სამართლებრივი სიკეთე დაზიანდეს, თუმცა აუცილებლად უნდა დადგინდეს ის, თუ რამდენად იყო მცდელობის ქმედება მიზეზობრივ კავშირში განხორციელებულ შედეგთან. თუ შედეგი მცდელობის განხორციელების შემდეგ, პირის აქტიური მეცადინეობით შეიძლებოდა აცილებულიყო თავიდან, მაგრამ შედეგი დადგა სხვა გარემოებების საფუძველზე, ქმედება ნებაყოფლობით ხელის აღებად უნდა შეფასდეს (ნებაყოფლობით ხელის აღების დასაბუთება ალბათობის მაღალი ხარისხით). მაშასადამე, როდესაც შედეგის გამოწვევა მიზეზობრივად არ არის დაკავშირებული დამნაშავის ქმედებასთან, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ნებაყოფლობით ხელის აღების საფუძველზე გამოირიცხება.

საქართველოს სსკ-ის 21-ე მუხლის მე-5 ნაწილი არეგულირებს როგორც აქტიური, ასევე პასიური ქმედებით განხორციელებულ ნებაყოფლობით ხელის აღების შემთხვევებს. მაგალითად, დ.-მ ხიდის აფეთქების მიზნით ბომბი დაამონტაჟა და ცეცხლი მოუკიდა ფითილს, რომელიც ორ საათში უნდა აფეთქებულიყო. ნახევარი საათის შემდეგ, დამნაშავე ვითარების შესამოწმებლად შემთხვევის ადგილზე მივიდა და ფითილი ჩამქვრალი დახვდა. ამის შემდეგ,

²⁸ ი. დვალიძე, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება“ აღმანახი” 2004 №19 სისხლის სამართალი (III) გვ.21

დამნაშავემ ფითილს ხელახლა აღარ მოუკიდა ცეცხლი, რადგან მან ადგილზე გადაიფიქრა ხიდის აფეთქება.

საქართველოს სსკ-ის 21-ე მუხლის მე-5 ნაწილი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ დამნაშავემ, მართალია, ყველაფერი გააკეთა დანაშაულებრივი შედეგის მისაღწევად, „მაგრამ შემდეგ თავისი ნებაყოფლობითი ქმედებით თავიდან აიცილა ეს შედეგი“. ნორმის ახსნაგანმარტების ხერხების საფუძველზე დასტურდება, რომ სსკ-ის 21-ე მუხლის მე-5 ნაწილი თანაბრად ვრცელდება როგორც მოქმედებით, ასევე უმოქმედობით ხელის აღების ფაქტებზე. სიტყვა-სიტყვითი და ლოგიკური განმარტების ხერხებზე დაყრდნობით, ტერმინი „ქმედება“ თავის თავში მოიცავს როგორც მოქმედებას, ასევე უმოქმედობას, ხოლო ნორმის ისტორიული ახსნა-განმარტების მეთოდი, რომლის მიხედვით, ნორმა იკითხება კანონმდებლის ისტორიული ნებიდან გამომდინარე, მიუთითებს იმაზე, რომ ნორმის სწორად გაგებისათვის ნორმის წამკითხველი აუცილებლად უნდა გაეცნოს ნორმის ძველ რედაქციას, შეადაროს იგი ახალ ნორმას და ამის შემდეგ გააკეთოს დასკვნები.

მაგალითად, საქართველოს პარლამენტის მიერ 1999 წელს მიღებულ სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლის მე-5 ნაწილი ნებაყოფლობით ხელის აღებად თვლიდა ისეთ შემთხვევას, სადაც დამნაშავემ, მართალია, ყველაფერი გააკეთა შედეგის მისაღწევად, „მაგრამ შემდეგ მოვლენათა მსვლელობაში ნებაყოფლობით აქტიურად ჩარევით თავიდან აიცილა ეს შედეგი“, ხოლო 2000 წლის 5 მაისს განხორციელებული ცვლილებების თანახმად, სიტყვები „ნებაყოფლობით აქტიურად ჩარევით“ შეიცვალა სიტყვებით „ნებაყოფლობითი ქმედებით“. ყოველივე ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ კანონმდებელმა სსკ-ის 21-ე მუხლის მე-5 ნაწილში ნებაყოფლობით ხელის აღებად ჩათვალა შედეგის, როგორც მოქმედებით, ასევე უმოქმედობით თავიდან აცილების შემთხვევები. აქედან გამომდინარე, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება მომზადების სტადიაზე, შესაძლებელია, როგორც მოქმედებით, ასევე უმოქმედობით. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება მომზადების სტადიაზე სახეზეა მაშინ, როდესაც დამნაშავე ჯერ კიდევ პირობების შექმნის პროცესში უარს ამბობს დანაშაულებრივი საქმიანობის შემდგომ გაგრძელებაზე, ანუ პირობების შემდგომ შექმნაზე.

ნებაყოფლობით ხელის აღება აქტიური ქმედებით შესაძლებელია მაშინ, როდესაც, დამნაშავემ დანაშაულის ჩასადენად შექმნა გარკვეული პირობები, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა დანაშაულის ჩადენა და ამ მიზნით განახორციელა მართლზომიერი მოქმედება. მაგალითად, ა.-მ მკვლელობის ჩასადენად სახლიდან წაიღო იარაღი და დამალა გზის პირას. სამი დღის შემდეგ, იგი იმ გზაზე აპირებდა ჩასაფრებას, სადაც დაზარალებულს უნდა გაეგლო. ერთი დღის შემდეგ, ა.-მ გადაიფიქრა დანაშაულის ჩადენა, მივიდა სამალავთან და სახლში წაიღო დანაშაულის ჩასადენად გამზადებული იარაღი.

ნებაყოფლობით ხელის აღება პასიური ქმედებით მაშინ არის სახეზე, როდესაც დამნაშავე გადაიფიქრებს დანაშაულის შემდგომ განხორციელებას და აღარ იმოქმედებს. მაგალითად, ა. მკვლელობის მიზნით მეორე დღეს აღარ მივიდა საფარში. თუმცა, არის ისეთი შემთხვევები, როდესაც დამნაშავე დანაშაულის მომზადების სტადიაზე უმოქმედობით ვერ მოახერხებს ხელის აღებას, არამედ აუცილებელია მან ამისათვის რაღაც მოქმედება განახორციელოს. მაგალითად, თუ პირმა ჩამოაყალიბა ჯგუფი დანაშაულის ჩასადენად და არსებობს საშიშროება იმისა, რომ ამ ჯგუფს დამოუკიდებლად შესწევს დანაშაულის ჩადენის უნარი, მაშინ ამ პირმა ნებაყოფლობით ხელის აღების შემთხვევაში, ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისათვის, რათა ხელი შეუშალოს ჯგუფის დანაშაულებრივ საქმიანობას. მაშასადამე, პირმა უნდა შეძლოს მიზეზობრივი ჯაჭვის განვითარების შეწყვეტა.

ნებაყოფლობით ხელის აღების საკითხი ანალოგიურად უნდა შეფასდეს დანაშაულის მცდელობის დროსაც. ქართულ სისხლის სამართალში გაბატონებული პოზიციის თანახმად, ნებაყოფლობით ხელის აღება, შესაძლებელია, როგორც დაუმთავრებელი, ასევე დამთავრებული მცდელობის სტადიაზე.²⁹ თუმცა, აქ ერთი საკითხი იწვევდა აზრთა სხვაობას. ადრეული ქართული სისხლის სამართლის დოგმატიკა თვლიდა, რომ დაუმთავრებელი მცდელობის სტადიაზე ნებაყოფლობით ხელის აღება შესაძლებელი იყო უმოქმედობით, ხოლო დამთავრებული მცდელობის სტადიაზე შეუძლებელი იყო ნებაყოფლობით ხელის აღება პასიური ქმედებით. ამის საილუსტრაციოდ სისხლის სამართლის ლიტერატურაში დასახელებულია ასეთი მაგალითი: ა.-მ მკვლელობის მიზნით ესროლა ბ.-ს და ააცილა. ამის შემდეგ, ა.-ს მეორედ აღარ უცდია გასროლა. ზემოთ დასახელებული შეხედულების თანახმად, აქ ნებაყოფლობით ხელის აღებას არა აქვს ადგილი, არამედ სახეზეა დამთავრებული მცდელობა.

მაშასადამე, ნებაყოფლობით ხელის აღების დროს თუ დამნაშავე უშუალოდ ერთვება მიზეზობრივი კავშირის განვითარებაში და აქტიური ქმედებით ცვლის მის ძირითად ხაზს, ადგილი აქვს ნებაყოფლობით ხელის აღებას მოქმედებით. მაგალითად, დ.-მ ხიდის აფეთქების მიზნით, დაამონტაჟა ბომბი და ცეცხლი მოუკიდა ფითილს. ბომბი ორ საათში უნდა აფეთქებულიყო, მაგრამ ნახევარი საათის გასვლის შემდეგ, დ.-მ გადაიფიქრა ხიდის აფეთქება, დაბრუნდა შემთხვევის ადგილზე და ჩააქრო ცეცხლი. მაშასადამე, დ.-მ შეაჩერა მიზეზობრივი კავშირის განვითარება აქტიური ქმედებით, რის შედეგად თავიდან აიცილა მავნე შედეგი. მაგრამ არის ისეთი შემთხვევები, როდესაც სურვილის მიუხედავად, დამნაშავე უშუალოდ ვერ ახერხებს მიზეზობრივი კავშირის განვითარებაში ჩართვას, თუმცა დანაშაულებრივი შედეგი მაინც არ დგება. მაგალითად, ზემოთ დასახელებულ კაზუსში, როდესაც დ. ფითილის

²⁹ მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა. მეცხრე გამოცემა, თბ., 2013, გვ. 316

ჩასაქრობად შემთხვევის ადგილზე ნახევარი საათის შემდეგ მივიდა, ნახა, რომ ცეცხლი წვიმას ჩაექრო. აქედან გამომდინარე, ისმის შეკითხვა: როგორ უნდა შეფასდეს დ.-ს ქმედება, როგორც დანაშაულის მცდელობა, თუ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება? სისხლის სამართლის ლიტერატურაში სამართლიანად მიუთითებენ იმის შესახებ, რომ, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი შემთხვევები სსკ-ის 21-ე მუხლის მე-5 ნაწილით პირდაპირ არ რეგულირდება, ისინი სამართალშემოქმედებითი საქმიანობის პროცესში ნებაყოფლობით ხელის აღებად უნდა შეფასდეს.³⁰ შესაძლებელია, აქ საკითხი გადაწყდეს დამნაშავეს სასარგებლოდ ანალოგიის საფუძველზე. თუმცა დასახელებულ მაგალითში, ერთი შეხედვით, თითქოს ადგილი აქვს შედეგის თავიდან აცილებას უმოქმედობით, მაგრამ, რადგან დამნაშავე შეეცადა ჩარეულიყო მიზეზობრიობაში, ამიტომ აქ სახეზეა ე.წ. ჰიპოთეტური მოქმედება.

2.3. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა

ნებაყოფლობით ხელის აღების საკანონმდებლო ცნებიდან ძალზე კარგად ჩანს ის ერთადერთი სუბიექტური მოთხოვნა, რომელიც დანაშაულზე ხელის ამღებს წაეყენება. საქმე ეხება „ნებაყოფლობითობას“, როგორც ერთ-ერთ აუცილებელ ნიშანს. ამ ნიშანზე მსჯელობის დროს სასამართლო პრაქტიკასა და სისხლის სამართლის დოგმატიკაში ერთმანეთისაგან განასხვავებენ ფსიქოლოგიურ და ნორმატიულ შეფასებებს, რომელზე მსჯელობის დროსაც მეცნიერთა ნაწილი ფსიქოლოგიურ შეფასებას ანიჭებს უპირატესობას, ნაწილი კი თვლის, რომ ნორმატიული შეფასება ყოვლისმომცველი საშუალებაა. დღეისათვის ერთიანი პოზიცია ამ საკითხზე არ არსებობს, განსაკუთრებით კი ეს გერმანულ დოგმატიკაში შეიმჩნევა. ფსიქოლოგიური შეფასების თანახმად, დანაშაულზე ხელის აღებას ნებაყოფლობითი ხასიათი გააჩნია მაშინ, როდესაც დამნაშავეს შინაგანად აღარ სურს დანაშაულის ჩადენა. მაშასადამე, დამნაშავე მოქმედებს ფსიქოლოგიური იძულების გარეშე. პირიქით, ნებაყოფლობითობას არა აქვს ადგილი მაშინ, როდესაც რაღაც გარემოებები დამნაშავეზე იმდენად ძლიერ სულიერ გავლენას ახდენს, რომ მას ისღა დარჩენია, შეწყვიტოს დანაშაულებრივი საქმიანობა. რაც შეეხება ნორმატიულ შეფასებას, იგი ნებაყოფლობითი ხელის აღების მოტივებს არა მარტო ფსიქიკაზე, არამედ ასევე შეფასებაზე დაყრდნობით განიხილავს.³¹ აქედან გამომდინარე, ზოგიერთი ავტორის აზრით, ნორმატიული გაგება დანაშაულზე ხელის აღების ძირითად არსს უფრო კარგად ხსნის.

³⁰ მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა. მეცხრე გამოცემა, თბ., 2013, გვ. 321-322.

³¹ ლ. ხარანაული, დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი) დისერტაცია. თბ. 2013, 326

მეცნიერების ნაწილი მიიჩნევს, რომ ნორმატიული შეფასება დანაშაულზე ხელის აღების დროს ნებაყოფლობითობის მნიშვნელობას საკმაოდ ავიწროვებს, რადგან ნორმატიული შეფასების თანახმად, დამნაშავეს ქმედებას მხოლოდ მაშინ აქვს ნებაყოფლობითი ხასიათი, როდესაც დამნაშავე ზნეობრივად გამოსწორების გზას დაადგება. მაშასადამე, აღნიშნული მიდგომა მხოლოდ კეთილშობილურ მოტივებს ანიჭებს გადაწყვეტ მნიშვნელობას. ამიტომ მხოლოდ ფსიქოლოგიური, ან მხოლოდ ნორმატიული მიდგომა საკმარისი არ არის იმისათვის, რათა ზუსტად განისაზღვროს ნებაყოფლობით ხელის აღების არსი. წმინდა ფსიქოლოგიური კრიტერიუმებით ხელმძღვანელობა წარმოადგენს ფსიქოლოგიზმს სისხლის სამართალში, რამაც სისხლის სამართალი შეიძლება გაუმართლებელ შედეგებამდე მიიყვანოს, ხოლო ნორმატიული მიდგომით ნებაყოფლობითობის დასაბუთება ზნეობრივი მოტივებით სისხლის სამართალში წარმოადგენს ეთიციზმს, რაც ასევე დაუშვებელია.

მართალია, დანაშაულზე ხელის აღების საკითხის გადაწყვეტისათვის სისხლის სამართლის ლიტერატურაში ყურადღება ექცევა მოტივსა და მიზანს, რომლის საფუძველზეც დამნაშავე უარს აცხადებს დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე და რომელიც შეიძლება იყოს სხვადასხვა სახის, მაგალითად, სიბრალული, კანონის ან ღვთის შიში და სხვა, მაგრამ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების დროს გადაწყვეტი მნიშვნელობა არ ენიჭება იმას, დამნაშავე ხელის აღების დროს კეთილშობილური მოტივებით (ზნეობრივად და ეთიკურად მაღალი მოტივებით) ხელმძღვანელობს თუ არა. მთავარია, რომ დამნაშავე დანაშაულზე ხელის აღების დროს მოქმედებდეს ნებაყოფლობით, რაც იმას ნიშნავს, რომ დამნაშავეს თავისუფალი არჩევანის პირობებში შეუძლია ბოლომდე განახორციელოს დანაშაული, ან ხელი აიღოს მასზე. მაგალითად, ა. დაზარალებულისაგან გარკვეული თანხის მიღების სანაცვლოდ, ნებაყოფლობით უარს ამბობს მის გაუპატიურებაზე. მოცემულ მაგალითში დამნაშავეს დანაშაულის ბოლომდე მიყვანაში არაფერი არ უშლის ხელს და მისი გადაწყვეტილება ნებაყოფლობით და საბოლოო ხასიათს ატარებს³².

ზოგიერთი მეცნიერის აზრით, მოტივმა შეიძლება სუბიექტის საშიშროების არსებობა-არარსებობაზე იქონიოს გავლენა. მაგალითად, თუ დამნაშავე დანაშაულზე ხელს აიღებს ღვთის შიშით, იგი მომავალში საზოგადოებისათვის საშიშ პიროვნებას აღარ წარმოადგენს, მაგრამ, თუ ამ უკანასკნელმა დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე უარი თქვა სასჯელის მუქარის შიშით, მაშინ იგი საზოგადოებისათვის კვლავ რჩება საშიშ პიროვნებად. მართალია, ასეთი შეფასება იმსახურებს ყურადღებას, მაგრამ იგი არ წარმოადგენს მატერიალური სისხლის სამართლის თემას. იგი უფრო კრიმინოლოგიისა და სოციოლოგიის პრობლემაა.

³²ი. დვალიძე, „დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება.“ ჟურნალი „ალმანახი“. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის გამომცემლობა. სისხლის სამართლის სერია, N19, 2004 გვ. 20-26.

აღსანიშნავია ის, რომ „ნებაყოფლობითობა“ პრინციპულად ითვალისწინებს ხელის აღების გამოიზნას. თუმცა, შესაძლებელია, ნებაყოფლობით ხელის აღებას ასევე, გამოიზნის გარეშეც ჰქონდეს ადგილი. ამ აზრის საილუსტრაციოდ გამოდგება შემდეგი მაგალითი: ა. რომელსაც გადაწყვეტილი ჰქონდა თავისი ცოლის მოკვლა, საწამლავი შეურია საჭმელში. რამდენიმე ხნის შემდეგ, როდესაც ა. სამზარეულოში დაბრუნდა, ნახა, რომ საჭმელი მისი ცოლის გარდა, მის შვილსაც ეჭამა. შემფოთებულმა ა.-მ მაშინვე სასწრაფო დახმარება გამოიძახა, რათა მისი შვილი გადაერჩინა. ამასთან, მისთვის ნათელი იყო, რომ ექიმი მის ცოლსაც გადაარჩენდა, მაგრამ იგი ბავშვის სიკვდილს სხვანაირად ვერ აიცილებდა თავიდან. ა.-ს ქმედება, რომელიც მისი ცოლის გადარჩენისაკენ იყო მიმართული, მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვით ხასიათდება. ამრიგად, როდესაც ისეთ შემთხვევებს აქვს ადგილი, რომლებშიც დამნაშავე დანაშაულზე ხელის აღების დროს ნებაყოფლობით და ამავე დროს, პირდაპირი განზრახვით მოქმედებს, შესაძლებელია, გამოიზნა, როგორც ასეთი, არ წარმოადგენდეს „ნებაყოფლობითობის“ აუცილებელ პირობას.

ქართულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში განზრახვის შინაარსის გარშემო ჩამოყალიბდა, კერძოდ, ქართულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში აღიარებულია, რომ განზრახვის დასაბუთება მხოლოდ ფსიქოლოგიური ცოდნის საფუძველზე შეუძლებელია. განსაკუთრებით, ეს შეეხება არაპირდაპირ განზრახვას. თუ განზრახვა ფსიქოლოგიურად გადაწყვეტილებას გაუთანაბრდება, მაშინ გამოვა, რომ არაპირდაპირი გადაწყვეტილება, რომელიც ევენტუალური განზრახვის გამოხატულებას წარმოადგენს, ფსიქოლოგიურად შეუძლებელია არსებობდეს.³³

ამასთან, სისხლის სამართლის ლიტერატურაში დაისვა საკითხი შემდეგნაირად: შესაძლებელია თუ არა, რომ დანაშაულზე ხელის აღებად ჩაითვალოს შემთხვევა, როდესაც დამნაშავე დაზარალებულის გადარჩენას შესაძლებლად თვლის (და არა გარდაუვლად), ე.ი. როდესაც დამნაშავე მოქმედებს ევენტუალური განზრახვით. მაშასადამე, იგი დაზარალებულის გადარჩენაში დარწმუნებული არ არის. ევენტუალური განზრახვით დანაშაულზე ხელის აღების შესაძლებლობის საკითხი გერმანული სისხლის სამართლის პრაქტიკაში შემდეგნაირად წყდება: მაგალითად, ა. თავის ცოლს ქ.-ს ერთხელ დაარტყა დანა მუცელში. იგი საკმაოდ აგრესიულად იყო განწყობილი ცოლის მიმართ. მიუხედავად ამისა, მან შეწყვიტა დანაშაულებრივი ქმედება და ოთახიდან გავიდა. გერმანიის მიწის სასამართლომ ამ შემთხვევაში უარყო ნებაყოფლობით

³³ გ.ნაჭყებია სისხლის სამართლი, სახელმძღვანელო, ზოგადი ნაწილი თბ., 2011, გვ. 383

ხელის ალების ფაქტი, რადგან, მისი აზრით, არაპირდაპირი განზრახვით განხორციელებული მკვლევლობის მცდელობა, როგორც ობიექტურად, ისე სუბიექტურად დამთავრებული იყო.³⁴

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ სასამართლო პრაქტიკა და დოგმატიკა (უმრავლესობის პოზიცია) ცხადყოფს, რომ დანაშაულზე ხელის ალებისათვის საკმარისია როგორც მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვა, ასევე ევენტუალური განზრახვა.³⁵

³⁴ ლ. ხარანაული, დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი) დისერტაცია. თბ., 2013, გვ. 333

³⁵ იქვე, გვ. 335

**თავი III. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება ამსრულებლის,
თანაამსრულებლის და თანამონაწილეების მიერ**
**3.1. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება ამსრულებლის და
თანაამსრულებლის მიერ**

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა წინასწარ გულისხმობს სუბიექტს, რომელიც ასრულებს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მუხლში აღწერილ მართლსაწინააღმდეგო ქმედებას. კოდექსის 22-ე მუხლის თანახმად, ამსრულებელია ის, ვინც უშუალოდ ჩაიდინა დანაშაული ან სხვასთან (თანაამსრულებელთან) ერთად უშუალოდ მონაწილეობდა მის ჩადენაში, აგრეთვე ის, ვინც დანაშაული ჩაიდინა სხვა ისეთი პირის მეშვეობით, რომელსაც ამ კოდექსის მიხედვით ასაკის, შეურაცხაობის ან სხვა გარემოების გამო არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. როგორც კანონის განმარტებიდან ჩანს, მოქმედი სისხლის სამართალი იცნობს სამი სახის ამსრულებლობას:

- ა) უშუალო ამსრულებლობას,
- ბ) თანაამსრულებლობას და
- ვ) შუალობით ამსრულებლობას.

უშუალო ამსრულებელია ის, ვინც უშუალოდ ჩაიდინა დანაშაული. „შეიძლება გამოვყოთ უშუალო ამსრულებლობის ორი სახე:

- 1) ერთპიროვნული ამსრულებლობა, როცა მარტო ერთი ადამიანი მოქმედებს და
- 2) როცა, მართალია, დანაშაულს თანამონაწილენი სჩადიან, მაგრამ კოდექსის კერძო ნაწილის მუხლით აღწერილ შემადგენლობას მაინც ერთი ადამიანი ასრულებს.“³⁶

თანაამსრულებლობას აქვს ადგილი, როცა ამსრულებელი სხვასთან ერთად უშუალოდ მონაწილეობდა დანაშაულის ჩადენაში. თანაამსრულებლობა ყოველთვის გულისხმობს არანაკლებ 2 კაცს. „დანაშაულში უშუალო მონაწილეობა“ ნიშნავს, რომ კოდექსის კერძო ნაწილის მუხლში აღწერილი ქმედების შემადგენლობას უშუალოდ ასრულებს ორი ან მეტი ამსრულებელი. ამასთან, არ არის აუცილებელი, რომ ყველა თანაამსრულებელი შემადგენლობას მთლიანად ასრულებდეს. საკმარისია, რომ თანაამსრულებელმა შემადგენლობის ერთი ელემენტი მაინც შეასრულოს.

როგორ წყდება საკითხი ე.წ. რთული (შენადგენი) დანაშაულის დროს? რთული (შენადგენი) დანაშაული ეწოდება ისეთ დანაშაულს, რომელიც შედგება ორი (ან რამდენიმე) მოქმედებისაგან, და თითოეული ამ მოქმედებათაგანი, თუ ჩადენილი იქნებოდა ერთიმეორისაგან იზოლირებულად, მოქმედი კოდექსით დამოუკიდებელ დანაშაულად არის გათვალისწინებული. რთული (შენადგენი) დანაშაულია, მაგალითად, ყაჩაღობა, მძევლად

³⁶ თ. გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბილისი, 2008, გვ. 178.

ხელში ჩაგდება და სხვა. კოდექსის 144-ე მუხლის თანახმად, მძევლად ხელში ჩაგდება იმ მიზნით, რომ მძევლის გათავისუფლების პირობით აიძულონ ორგანიზაცია ან პირი, შეასრულოს ან არ შეასრულოს ესა თუ ის მოქმედება. მოცემული მუხლი შედგება ორი მოქმედებისაგან და თითოეული მოქმედებათაგანი თუ ჩადენილი იქნებოდა ერთიმეორისაგან იზოლირებულად, მოქმედი კოდექსით დაკვალიფიცირდებოდა თავისუფლების უკანონო აღკვეთით (143-ე მ.) და იძულებით (150-ე მ.). შენადგენი დანაშაულის დროს საკმარისია პირმა შეასრულოს თუნდაც ერთერთი მოქმედება, იგი ჩაითვლება თანაამსრულებლად. მაგალითად, ერთმა ხელში ჩაიგდო მძევალი, ხოლო მეორემ მისი გათავისუფლების პირობით მოითხოვა პირისაგან შეასრულოს გარკვეული მოქმედება. ამსრულებლობის ერთ-ერთ სახედ ითვლება შუალობითი ამსრულებლობა. იმას, ვინც დანაშაული ჩაიდინა სხვა ისეთი პირის მეშვეობით, რომელსაც კოდექსის მიხედვით ასაკის, შეურაცხაობის ან სხვა გარემოების გამო არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შუალობითი ამსრულებელი ეწოდება. იმ პირს, ვინც შუალობითმა ამსრულებელმა გამოიყენა, სისხლის სამართლის თეორიაში „ცოცხალი იარაღი“ ეწოდება.

ამსრულებელია ის, ვინც უშუალოდ ჩაიდინა დანაშაული ან სხვასთან (თანაამსრულებელთან) ერთად უშუალოდ მონაწილეობდა მის ჩადენაში, აგრეთვე ის, ვინც დანაშაული ჩაიდინა სხვა ისეთი პირის მეშვეობით, რომელსაც ზოგადად ან კონკრეტულ შემთხვევაში არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.“ „ზოგჯერ შუალობითი ამსრულებელი ცდება და ჰგონია, რომ ის, ვისაც იგი აქეზებს ან ეხმარება, სავსებით ვარგისია შესაბამისი დანაშაულის ამსრულებლად. სინამდვილეში უშუალო ამსრულებელი სულით ავადმყოფი ან მცირეწლოვანი აღმოჩნდება. ამ შემთხვევაში წამქეზებელი ან დამხმარე პასუხს აგებენ დანაშაულში თანამონაწილეობისათვის.“³⁷ „შუალობითი ამსრულებლობისათვის აგებს პასუხს წამქეზებელი ან დამხმარე, როცა მას ჰგონია, რომ აქეზებს ან ეხმარება მცირეწლოვანს, სინამდვილეში კი ის სრულწლოვანი აღმოჩნდება.“³⁸ განვიხილოთ შუალობითი ამსრულებლობის საკითხი იმ დანაშაულებში, რომელიც მოითხოვს, რომ ამ დანაშაულების ამსრულებელი შეიძლება იყოს სპეციალური სუბიექტი, ე.ი. ვისაც სპეციალური თვისება ან მდგომარეობა აქვს. მაგალითად, სამოხელეო დანაშაულის ამსრულებელი ან თანაამსრულებელი შეიძლება იყოს მხოლოდ სახელმწიფო მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი, აგრეთვე სამხედრო დანაშაულის ამსრულებელი ან თანაამსრულებელი შეიძლება იყოს მხოლოდ სამხედრო პირი. ამ დანაშაულთა თანამონაწილეები, ე.ი. ორგანიზატორი, წამქეზებელი და დამხმარე შეიძლება იყვნენ ისეთი პირებიც, რომლებიც სპეციალური სუბიექტები არ არიან, ე.ი. ვისაც სპეციალური

³⁷ თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, თბილისი, 1965, გვ.82.

³⁸ თ. გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბილისი, 2008, გვ. 186.

თვისება ან მდგომარეობა არ აქვთ _ (პირი რომელიც არ არის სახელმწიფო მოხელე, არასამხედრო პირი და ა.შ.). თუ არასპეციალურმა სუბიექტმა ისეთი მოქმედება შეასრულა, რომელიც დანაშაულის შემადგენლობაში შედის, ხოლო სპეციალურმა, პირიქით, _ ისეთი მოქმედება, რომელიც დანაშაულის შემადგენლობაში არ შედის, ასეთ შემთხვევაში არასპეციალური სუბიექტის მოქმედება დაკვალიფიცირდება როგორც თანამონაწილეობა, ხოლო სპეციალური სუბიექტის მოქმედება _ როგორც შუალობითი ამსრულებლობა.

საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი 22-ე მუხლიდან 27-ე მუხლის ჩათვლით დეტალურად არეგულირებს ამსრულებლობასა და თანამონაწილეობასთან დაკავშირებულ საკითხებს, კერძოდ, თანამონაწილეთა ცნებას, სახეებს და მათთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის განსაზღვრის თავისებურებებს. საქართველოს სსკ-ის 23-ე მუხლი თანამონაწილეობას განმარტავს, როგორც „ორი ან მეტი პირის განზრახ ერთობლივ მონაწილეობას განზრახი დანაშაულის ჩადენაში“. მაშასადამე, დანაშაული შეიძლება ჩაიდინოს არა მარტო ერთმა, არამედ ასევე, რამდენიმე პირმა.

დანაშაულის ჩადენაში მონაწილე პირებს შორის როლები, შესაძლებელია, სხვადასხვაგვარად გადანაწილდეს. ერთ შემთხვევაში, შესაძლებელია, დანაშაულის შემადგენლობა ერთდროულად რამდენიმე ამსრულებელმა განახორციელოს. დანაშაულში ასეთი სახის მონაწილეობას თანამსრულებლობა ეწოდება (თანამონაწილეობა ფართო გაგებით), ხოლო მეორე შემთხვევაში, შესაძლებელია, დანაშაულის განხორციელებაში ამსრულებელთან ერთად სხვებიც მონაწილეობდნენ (თანამონაწილეობა ვიწრო გაგებით). ეს ისეთი შემთხვევაა, როდესაც ერთი პირი აქეზებს მეორე პირს დანაშაულის ჩადენაში ან ორგანიზებას უწევს დანაშაულის ჩადენას, ე.ი. გამოდის ორგანიზატორის ან წამქეზებლის როლში, ხოლო მეორე მონაწილე უშუალოდ ახორციელებს ქმედების შემადგენლობას ე.ი. ასრულებს ამსრულებლის ფუნქციას და მესამე მონაწილე ამსრულებელს ფიზიკურ ან ფსიქიკურ დახმარებას უწევს იარაღის მიწოდებით ან რჩევა-დარიგებით, მაშასადამე, წარმოადგენდეს დამხმარეს დანაშაულის ჩადენაში. თანამონაწილეობისათვის აუცილებელი დამახასიათებელი ნიშანია მათი ერთიანობა, როგორც ობიექტური, ასევე სუბიექტური თვალსაზრისით.

ამსრულებლისა და თანამონაწილის გამიჯვნა პრობლემური და სადავო საკითხია როგორც დოქტრინაში, ისე სასამართლო პრაქტიკაში. მასზე შექმნილია სხვადასხვა თეორია.

ცალკე განხილვის საგანია დანაშაულის ნებაყოფლობით შეწყვეტა თანამსრულებლობის და შუალობითი ამსრულებლობის დროს. თანამსრულებლობის დროს ეს უმთავრესად უმოქმედობითაა შესაძლებელი; მაგალითად, ერთმა გააკავა დარაჯი, ხოლო მეორემ გააგრძელა ოქროს და ფულის ძებნა, მაგრამ ნივთის დაუფლებამდე გამკავებელმა გაათავისუფლა დარაჯი და ამით

ამსრულებელს დახმარება შეუწყვიტა, თუმცა ამსრულებელმა დამოუკიდებლად განაგრძო ნივთის დაუფლება.

ამ შემთხვევაში, თანაამსრულებელი გათავისუფლდება მარცვისათვის პასუხისმგებლობისაგან, მაგრამ პასუხს აგებს ბანდაში მონაწილეობისათვის. შუალობითი ამსრულებლობის დროს, პირიქით, დანაშაულის ნებაყოფლობით შეწყვეტა მოქმედებას მოითხოვს. აქ იგულისხმება ისეთი ვითარება, როდესაც ამსრულებელმა უკვე აამოქმედა “ცოცხალი იარაღი”; მაგალითად, კაცმა მცირეწლოვანს თოფი გადასცა და დაარიგა, სად უნდა მივიდეს და ვის უნდა ესროლოს. დანაშაულის ნებაყოფლობით შეწყვეტა აქ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ დამნაშავე მცირეწლოვანს თოფს უკანვე გამოართმევს ან სხვაგვარად შეუშლის ხელს დანაშაულებრივი შედეგის განხორციელებას. მაგრამ თუ ამსრულებელი ბანდის წევრია, ამ დროს დგება მისი პასუხისმგებლობის საკითხი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 224-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად. და ბოლოს, უნდა გვახსოვდეს, რომ თანამონაწილეს (ორგანიზატორს, წამქეზებელს, დამხმარეს) არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა თუ მან ქვემოთ ჩამოთვლილი პირობებიდან ერთ-ერთი განახორციელა:

- გადაარწმუნა ამსრულებელი, ან სხვაგვარად შეუშალა ხელი და არ მისცა დანაშაულის დამთავრების საშუალება;
- არ შეასრულა ამსრულებლისათვის შეპირებული ქმედება;
- დანაშაულის დამთავრებამდე დამხმარემ დაიბრუნა დანაშაულის ჩასადენად გადაცემული საშუალება;
- ამსრულებელმა არ გამოიყენა დამხმარის იარაღი ან სხვა საშუალება.³⁹

ზოგჯერ “სხვისი დაყოლიება” ისე ესმით, თითქოს ეს ნიშნავს ამსრულებლის დაყოლიებას დანაშაულის ჩასადენად. მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ წამქეზებლობა დანაშაულის დამხმარის წაქეზებით გამოიხატოს. მაგალითად, ვინმე აქეზებს ნაცნობს, მკვლელობის ამსრულებელს თოფი ათხოვოს. ესეც სხვისი დაყოლიებაა დანაშაულის ჩასადენად, რაც შესაბამისად უნდა შეფასდეს. ასევე შესაძლებელია ორგანიზატორის წაქეზება. ლიტერატურაში ხშირად გვხვდება მსჯელობა წამქეზებლის წაქეზების იურიდიულ სუბსუმციაზე. პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს წამქეზებლობის ინტელექტუალური ანუ ფსიქიკური დახმარებისაგან განსხვავებას. წამქეზებელია ის, ვინც ამსრულებელს დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტ მოტივს უქმნის. წამქეზებელმა ამსრულებელს დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილება უნდა მიაღებინოს და უნდა შეუქმნას დანაშაულის ჩადენის ისეთი ძლიერი მოტივი, რომელიც მნიშვნელოვან ბიძგს წარმოადგენს გადაწყვეტილების მიღებისათვის.

³⁹ მ. ტურავა, სისხლის სამართალი (ზოგადი ნაწილი). დანაშაულის მოძღვრება. თბ., 2011, გვ. 276-278

ფსიქიკური დამხმარის მოქმედება, წამქეზებლობასთან შედარებით, ნაკლები მნიშვნელობისაა. ფსიქიკური დამხმარე ამსრულებელს დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილებას განუმტკიცებს. მაგალითად, წამქეზებლის ზემოქმედებით კაცმა მკვლელობა გადაწყვიტა, მაგრამ ეძებს დამფარავს. გამოჩნდა დამხმარე, რომელმაც მას, მკვლელობის შემთხვევაში, დაფარვა აღუთქვა.⁴⁰

ამსრულებლის მიერ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შემთხვევაში, თანამონაწილენი პასუხს აგებენ დანაშაულის მომზადების ან მცდელობისათვის (იხ. სსკ-ის 25-ე მუხლის მე-7 ნაწილი). ამ დროს ყურადღება უნდა მიექცეს დანაშაულის კატეგორიასაც, რადგან სსკ-ით მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მომზადება ისჯება (იხ. სსკ-ის მე-18 მუხლის მე-2 ნაწი).

სსკ-ის 21-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, „დანაშაულის ორგანიზატორს, წამქეზებელსა და დამხმარეს არ დაეკისრებათ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მათ გადაარწმუნეს ამსრულებელი, დროულად შეატყობინეს ხელისუფლების ორგანოს ან სხვაგვარად შეუშალოს ხელი ამსრულებელს ან სხვა თანამონაწილეს და ამით არ მისცეს დანაშაულის დამთავრების შესაძლებლობა“. ნორმის ამ ნაწილში იგულისხმება ისეთი შემთხვევა, როდესაც თანამონაწილეებმა ყველაფერი გააკეთეს დანაშაულის ბოლომდე მისაყვანად, რაც მათზე იყო დამოკიდებული, მაგრამ საკუთარი ინიციატივით დანაშაული ბოლომდე არ განხორციელდა. ამგვარი ინიციატივა შეიძლება გამოიხატოს:

1) ამსრულებლის ან სხვა თანამონაწილის გადარწმუნებაში. მაგალითად, წამქეზებელმა ურჩია ამსრულებელს არ ჩაედინა ყაჩაღობა, ან ორგანიზატორმა წამქეზებელი გადაარწმუნა აღარ გადმოეხიზნებინა ვინმე ქურდობის ჩასადენად და ა.შ.;

2) ხელისუფლების ორგანოში ინფორმაციის მიწოდებაში. ასეთებია, ძირითადად სამართალდამცავი ორგანოები. მაგალითად, პოლიცია, პროკურატურა, უშიშროების სამსახური და ა.შ. შესაძლებელია შეტყობინება მიეწოდოს პარლამენტს, მერიას, და ა.შ.;

3) სხვაგვარად ხელის შეშლაში იგულისხმება ნებისმიერი მოქმედება, რაც გამორიცხავს დანაშაულის ბოლომდე მიყვანას. მაგალითად, თანხის გადახდა, შეპყრობა, საძილე წამლის მიცემა და ა.შ. ასე, რომ თანამონაწილეთა ინიციატივის გარდა დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებისათვის თანამონაწილეებს (გარდა ფიზიკური დამხმარისა) მეორე აუცილებელ პირობად მოეთხოვებათ დანაშაულებრივი შედეგის თავიდან აცილება.

საყურადღებოა, რომ სსკ-ის 21-ე მუხლის 3-ე ნაწილის მეორე წინადადება ითვალისწინებს ისეთ შემთხვევას, როდესაც ფიზიკურ დამხმარეს აღნიშნული მეორე პირობა,

⁴⁰ ო. გამყრელიძე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. სისხლის სამართლის პრობლემები. III ტომი. თბ., 2013, გვ. 195-197

ე.ი. დანაშაულის შედეგის თავიდან აცილება, არ მოეთხოვება იმისათვის, რომ მისი ქმედება დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებად ჩაითვალოს.

კანონში ამის შესახებ ნათქვამია: „დამხმარეს აგრეთვე არ დაეკისრება სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მან ამსრულებლის მიერ დანაშაულის დაწყებამდე უარი თქვა, შეესრულებინა შეპირებული ქმედება, ანდა ამსრულებლის მიერ დანაშაულის დამთავრებამდე უკან დაიბრუნა დანაშაულის ჩასადენად გადაცემული იარაღი, ან საშუალება”. როგორც ვხედავთ აქ ორი შემთხვევაა:

1) დამხმარეს უარი შეპირებული ქმედების შესრულებაზე ნათქვამი უნდა იყოს ამსრულებლის მიერ დანაშაულის დაწყებამდე. მაგალითად, ა.-მ განუცხადა თავის მეგობრებს, რომ ქურდობის ჩასადენად იგი ფაბრიკის კარებს ღიას დატოვებდა, მაგრამ დანაშაულის ჩადენამდე უარს განაცხადებს შეპირებული ქმედების შესრულებაზე;

2) დანაშაულის დასრულებამდე დამხმარე უკან იბრუნებს მის მიერ მიცემულ იარაღს ან საშუალებას. მაგალითად, ა-მ ბ-ს დაუმიზნა ცეცხლსასროლი იარაღი, ხოლო ამ იარაღის მიმცემმა წაართვა.

როგორც ვხედავთ, ამსრულებლის მიერ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება არ ათავისუფლებს თანამონაწილეებს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან. ასეთივე ვითარება იქნება იმ შემთხვევაშიც, თუ თანამონაწილეთა ნებას არ შეუერთდა ამსრულებელიც.

რაც შეეხება თანაამსრულებელს, მან შეიძლება დანაშაულზე ხელი აიღოს როგორც მოქმედებით, ასევე უმოქმედობით. მაგალითად, ა.-მ გააკავა დ., ხოლო ბ. შეეცადა მის გაუპატიურებას. მაგრამ, სქესობრივი აქტის დაწყებამდე ა.-მ გადაიფიქრა დანაშაულის ჩადენა და მსხვერპლს ხელი გაუშვა. ამის მიუხედავად, ბ.-მ მაინც შეძლო დ.-ს გაუპატიურება.⁴¹

ასეთ შემთხვევაში, შესაძლებელია, ა. გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან არა მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხელს გაუშვებს დაზარალებულს, არამედ მაშინაც, როდესაც იგი მეორე თანაამსრულებელს წინააღმდეგობას გაუწევს, გადაეფარება დაზარალებულს და ამგვარად არ მისცემს მეორე ამსრულებელს დანაშაულის დამთავრების საშუალებას. მაშასადამე, აქტიური ქმედებით აიღებს ხელს დანაშაულზე.

ვინაიდან, დანაშაულში რამდენიმე პირის მონაწილეობა სამართლებრივ სიკეთეს უფრო დიდი საშიშროების წინაშე აყენებს, ვიდრე ერთი პირის მონაწილეობა, ამიტომ, შესაბამისად, თანამონაწილეთა (თანაამსრულებელთა) მიერ ნებაყოფლობით ხელის აღების დროს უფრო მკაცრი მოთხოვნები არის გათვალისწინებული.

ამდენად, თუ დანაშაულის ერთ-ერთი მონაწილე ნებაყოფლობით აქტიურად ხელს შეუშლის დანაშაულის შემდგომ განხორციელების პროცესს, მასთან ერთად სისხლისსამართ-

⁴¹ ო. გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბ., 2008, გვ. 177.

ლებრივი პასუხისმგებლობისგან თავისუფლდებიან ის მონაწილენიც, რომლებიც შეთანხმდებიან ამის შესახებ.

ამსრულებლის გადარწმუნება, ერთ შემთხვევაში, ნებაყოფლობით ხელის აღებად მიიჩნევა მაშინ, როდესაც ამსრულებელს გადაწყვეტილი აქვს დანაშაულის ჩადენა და თანამონაწილეები შეძლებენ მის დაყოლიებას, ხელი აიღოს დანაშაულის ჩადენაზე.

ამსრულებლის გადარწმუნება შეუძლია როგორც წამქეზებელს, ასევე ორგანიზატორს და ფსიქიკურ დამხმარეს. თანამონაწილეებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ უნდა დაეკისროთ მაშინაც, როდესაც ისინი შეეცდებიან ერთმანეთის გადარწმუნებას.

არის ისეთი შემთხვევები, როდესაც ორგანიზატორი ან წამქეზებელი ნებაყოფლობით ხელის აღების მოტივით ხელს უშლის ამსრულებელს მკვლელობის ბოლომდე მიყვანაში, მაგრამ ამსრულებელი, ამის მიუხედავად, მაინც მოასწრებს დაზარალებულისათვის ჯანმრთელობის დაზიანებას. ამ შემთხვევაში, ორგანიზატორი ან წამქეზებელი ჯანმრთელობის განზრახ დაზიანებაში თანამონაწილეობისათვის უნდა დაისაჯონ, რადგან მათ მიერ მიღებული ზომები საკმარისი არ აღმოჩნდა დანაშაულებრივი შედეგის თავიდან ასაცილებლად. შესაძლებელია, ორგანიზატორმა გადაარწმუნოს როგორც ამსრულებელი, ასევე სხვა თანამონაწილე. ამასთან, გადარწმუნების ფაქტს შესაძლებელია, ადგილი ჰქონდეს მაშინ, როდესაც ამსრულებელი იმყოფება როგორც მომზადების, ასევე მცდელობის სტადიაზე. ამის გარდა, თანამონაწილეთა მხრიდან ნებაყოფლობით ხელის აღება დასაშვებია მაშინაც, როდესაც ამსრულებელმა ქმედება იურიდიულად დაამთავრა და იგი ფაქტობრივად ჯერ კიდევ არ არის დასრულებული. შემდგომი პირობა მდგომარეობს იმაში, რომ ნებაყოფლობით ხელის აღების გამო, თანამონაწილეები სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლდებიან მაშინ, როდესაც ისინი სხვაგვარად შეუშლიან ხელს ამსრულებელს ან სხვა თანამონაწილეს და ამით არ მისცემენ დანაშაულის დამთავრების საშუალებას. სხვაგვარად ხელის შეშლაა, მაგალითად, თანხის გადახდა, შეპყრობა, თხოვნა და ა. შ.

3.2. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება თანამონაწილეების მიერ

შეიძლება თუ არა, რომ თანამონაწილეებმა დანაშაულზე აიღონ ხელი როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედებით? სისხლის სამართლის მეცნიერებაში გაბატონებული იყო შეხედულება, რომლის თანახმად, წამქეზებელს და ფსიქიკურ დამხმარეს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება შეეძლო მხოლოდ მოქმედებით, ხოლო დამხმარეს, გამონაკლისი

სახით, შეეძლო უმოქმედობითაც შეეწყვიტა დანაშაულებრივი საქმიანობა. ანალოგიური აზრი ვითარდება შემდგომი პერიოდის სისხლის სამართლის ზოგიერთი მეცნიერის ნაშრომებში,⁴² თუმცა ეს პოზიცია სისხლის სამართალში გაზიარებული არ არის. სისხლის სამართლის ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ წამქეზებელს შეუძლია დანაშაულზე უმოქმედობით აიღოს ხელი მაშინ, როდესაც იგი ამას გადაწყვეტს მანამ, ვიდრე ბოლომდე დაარწმუნებს ამსრულებელს, რომ მან ჩაიდინოს დანაშაული.⁴³ ასევე, ფიზიკურ დამხმარეს შეუძლია უმოქმედობით აიღოს ხელი დანაშაულზე⁴⁴.

თუ დანაშაული თანამონაწილებით ხორციელდება, ნებაყოფლობით ხელის აღების საკითხი ამსრულებლისა და ყოველი თანამონაწილისათვის იმისდა მიხედვით უნდა გადაწყდეს, თუ რა როლი შეასრულა თითოეულმა მათგანმა დანაშაულებრივი შედეგის თავიდან აცილებაში.

თანამონაწილეობის დროს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება შეუძლია არა მარტო ამსრულებელს (თანამსრულებელს), არამედ აგრეთვე თანამონაწილესაც. თანამონაწილეთა მიერ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებას გარკვეული სპეციფიკურობა ახასიათებს, რომელიც განპირობებულია თანამონაწილეთა ბუნებით. ამიტომ შედარებით განსხვავებულია მასთან დაკავშირებული იურიდიული შედეგებიც. თუ ამსრულებელი ხელს იღებს დანაშაულის ჩადენაზე, თანამონაწილეები ავტომატურად არ თავისუფლდებიან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან. აქედან გამომდინარე, თანამონაწილეთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი ინდივიდუალურად უნდა გადაწყდეს.⁴⁵

მაგალითად, თუ ამსრულებელმა მკვლელობის მცდელობის სტადიაზე ნებაყოფლობით აიღო ხელი, ეს არ ნიშნავს იმას, რომ დანარჩენი თანამონაწილენიც თავისუფლდებიან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, არამედ ისინი პასუხს აგებენ მკვლელობის მცდელობისათვის. არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ამსრულებელი ხელს იღებს მაკვალიფიცირებელი გარემოების განხორციელებაზე, მაგალითად, განზრახ კლავს ერთ ადამიანს, ხოლო მეორე ადამიანის მოკვლაზე ნებაყოფლობით ხელს იღებს. ასეთ შემთხვევებში, ამსრულებელი პასუხს აგებს საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლის საფუძველზე, რადგან მან სსკ-ის 109-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე აიღო ხელი, ხოლო თანამონაწილენი

⁴² ა. მახარაძე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დანაშაულში დახმარებისათვის, თბ., 2006, გვ. 215

⁴³ ო. გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბ., 2008, გვ. 173

⁴⁴ ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ., 2011, გვ. 116

⁴⁵ ლ. ხარანაული, დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი) დისერტაცია. თბ., 2013, გვ. 342

დაისჯებიან სსკ-ის მე-19, 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული განზრახ მკვლელობის მცდელობისათვის.⁴⁶

ზოგადად, გასათვალისწინებელია, რომ დანაშაულის თანამონაწილეთაგან წამქეზებელი ყველაზე რთული და მრავალმხრივი ფიგურაა. წამქეზება ყოველთვის არის სხვისი დაყოლიება დანაშაულის ჩასადენად. ამიტომ, ფართო გაგებით, წამქეზებლობა შუალობით ამსრულებლობასაც მოიცავს. მაგრამ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 24-ე მუხლის მე-2 ნაწილის ტექსტი დანაშაულში თანამონაწილეობას გულისხმობს.

თუ დანაშაული თანამონაწილეობით ხორციელდება, ნებაყოფლობით ხელის აღების საკითხი ამსრულებლისა და ყოველი თანამონაწილისათვის იმისდა მიხედვით უნდა გადაწყდეს, თუ რა როლი შეასრულა თითოეულმა მათგანმა დანაშაულებრივი შედეგის თავიდან აცილებაში. პირიქით, თუ რომელიმეს თავისი წვლილი არ შეუტანია დანაშაულებრივი შედეგის თავიდან აცილებაში, მაგრამ შედეგი სხვა თანამზრახველების მეცადინეობით არ დადგა, იგი პასუხს აგებს დანაშაულის მომზადების ან მცდელობისათვის.

ნებაყოფლობით ხელის აღება, როგორც წამახალისებელი ნორმა, „წარმოადგენს მხოლოდ პასუხისმგებლობისაგან პერსონალური გათავისუფლების საფუძველს“.⁴⁷ დასახელებული შეესაბამება თანამონაწილეობის აქცესორულ ბუნებას. „სწორედ თანამონაწილეთა აქცესორული ბუნება და თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციის სპეციფიკა განაპირობებს თანამონაწილეთა მიერ დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის აღების თავისებურებებს“. ნებაყოფლობით ხელის აღებისათვის საკმარისი არ არის მხოლოდ დანაშაულის მიზეზობრიობიდან უბრალო გამოთიშვა, არამედ თითოეული მონაწილე სერიოზულად უნდა გაისარჯოს, რათა თავიდან იქნეს აცილილებული დანაშაულებრივი შედეგი.

თანამედროვე ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობა თანამონაწილეთა მიერ ნებაყოფლობით ხელის აღების საკითხს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლის ფარგლებში არეგულირებს. ამ მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თანამონაწილეებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრებათ, თუ მათ შეასრულეს შემდეგი პირობებიდან ერთ-ერთი:

- 1) გადაარწმუნეს ამსრულებელი;
- 2) დროულად შეატყობინეს ხელისუფლების ორგანოს;

⁴⁶ლ. ხარანაული, დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი) დისერტაცია. თბ., 2013, გვ. 2013, გვ. 343

⁴⁷ მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა. მეცხრე გამოცემა, თბ., 2013, 323; ასევე, ო. გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება თბ., 2008გვ. 173.

3) სხვაგვარად შეუშალეს ხელი ამსრულებელს ან სხვა თანამონაწილეს და ამით არ მისცეს დანაშაულის დამთავრების შესაძლებლობა;

4) დამხმარემ დანაშაულის დაწყებამდე უარი თქვა შეპირებული ქმედების შესრულებაზე;

5) დამხმარემ დანაშაულის დამთავრებამდე უკან დაიბრუნა დანაშაულის ჩასადენად გადაცემული იარაღი ან საშუალება.

დასახელებული პირობები ნებაყოფლობით ხელის აღების საფუძველს ქმნის მაშინ, თუკი მათი განხორციელების საფუძველზე დანაშაულებრივი შედეგი თავიდან იქნება აცილებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი მოქმედება, სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე, სასამართლომ შეიძლება გაითვალისწინოს სასჯელის დანიშვნის დროს, როგორც პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოება. თუმცა, სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლის მე-3 ნაწილის ბოლო წინადადება აკეთებს გამონაკლისს ფიზიკური დამხმარისათვის.

ვინაიდან, დანაშაულში რამდენიმე პირის მონაწილეობა სამართლებრივ სიკეთეს უფრო დიდი საშიშროების წინაშე აყენებს, ვიდრე ერთი პირის მონაწილეობა, ამიტომ, შესაბამისად, თანამონაწილეთა მიერ ნებაყოფლობით ხელის აღების დროს უფრო მკაცრი მოთხოვნები არის გათვალისწინებული. ამდენად, თუ დანაშაულის ერთ-ერთი მონაწილე ნებაყოფლობით აქტიურად ხელს შეუშლის დანაშაულის შემდგომ განხორციელების პროცესს, მასთან ერთად სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან თავისუფლდებიან ის მონაწილენიც, რომლებიც შეთანხმდებიან ამის შესახებ, მაგალითად, ა.-მ ბ.-მ და გ.-მ ერთობლივად განიზრახეს დ.-ს სახლის დაწვა. ა.-მ ბენზინით გაჯერებული ნაჭერი სახლის სარდაფში აანთო. თუმცა შემდგომ მათში სინანულის გრძნობამ გაიღვიძა და შეთანხმების თანახმად, ბ. კვლავ შევიდა სარდაფში და ჩააქრო ცეცხლი, ვიდრე იგი მთელს სახლს მოედებოდა. მოცემულ მაგალითში, მართალია, დ.-ს სახლი ბ.-ს აქტიური მოქმედებით გადარჩა დაწვას, მაგრამ, ამის მიუხედავად, დანარჩენი მონაწილენიც გათავისუფლდებიან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების გამო.⁴⁸

შესაძლებელია, ნებაყოფლობით ხელის აღებად შეფასდეს ა.-ს და გ.-ს ქმედება მაშინაც, როდესაც, მართალია, ისინი ბ.-სთან არ შეთანხმებულან დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების თაობაზე, მაგრამ, როდესაც ბ.-მ გადაწყვიტა სარდაფში ანთებული ნაჭერი ჩაექრო და ამისათვის აქტიური მოქმედება დაიწყო, ა.-ს და გ.-ს მისთვის ხელი არ შეუშლია, მიუხედავად იმისა, რომ მათ იცოდნენ ამის შესახებ და შეეძლოთ კიდევ ალექვეთათ ბ.-ს ქმედება.

⁴⁸ლ. ხარანაული, დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი) დისერტაცია. თბ., 2013, გვ. 351

თავი IV . შედეგის უმართლობის შემცირება ზიანის ანაზღაურების გამო დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის დროს

საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სასჯელის დანიშვნის დროს, სხვადასხვა გარემოებებთან ერთად, მხედველობაში მიიღება მსჯავრდებულის ყოფაქცევა დანაშაულის ჩადენის შემდგომ. კერძოდ, ზიანის ანაზღაურება, დაზარალებულთან შერიგება, საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობა და სხვა,⁴⁹ რომლებიც ქვემოთ იქნება განხილული. ზიანის ანაზღაურების (Wiedergutmachung) მნიშვნელობა სასჯელის შეფარდებისთვის და მისი ადგილი სასჯელის შეფარდების დროს გასათვალისწინებელ გარემოებათა სისტემაში, კამათს იწვევს. დისკუსია გამოიწვია საკითხმა იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად შეესაბამება სასჯელის შეფარდების დროს ზიანის ანაზღაურებისთვის მნიშვნელობის მინიჭება სასჯელის მიზნებს და შეუძლია თუ არა სისხლის სამართლის პრევენციულ ფუნქციაში წვლილის შეტანა. ზიანის ანაზღაურება ხასიათდება როგორც „გულწრფელი მონანიება“ და ამიტომ, სასჯელის შესამსუბუქებლად, გასათვალისწინებელია სამართლისადმი პერმანენტული მტრული დამოკიდებულების არარსებობა. ამ თვალსაზრისით, ზიანის ანაზღაურებისას, დამნაშავის მხრიდან ადგილი აქვს წარსულში დარღვეული ნორმის კვლავ აღიარებას. ადამიანი, რომელიც დანაშაულის ჩადენის შემდეგაც არ ადგას გამოსწორების გზას და თავისი ქმედებით ამტკიცებს, რომ საშიშად რჩება საზოგადოებისთვის, როგორც წესი, უფრო მკაცრად უნდა დაისაჯოს. სასჯელის შეფარდების დროს, სწორედ სისხლის სამართლის პრევენციული ფუნქციიდან გამომდინარე, არა მხოლოდ განხორციელებული ქმედებაა გასათვალისწინებელი, არამედ არსებული საფრთხე და მოსალოდნელი დანაშაულიც. თუ სისხლის სამართალი უარს იტყობდა დანაშაულის შემდეგ განხორციელებული ქმედების გათვალისწინებაზე და მხოლოდ განხორციელებული დანაშაულის შეფასებით შემოიფარგლებოდა, ვერ მიაღწევდა დანაშაულის პრევენციის მიზანს ან ერთმანეთთან გააიგივებდა შურისძიებას და პრევენციას. ლიტერატურაში გამოთქმული ერთ-ერთი შეხედულებით, დანაშაულის შემდგომი ქმედებით შესაძლებელია დასკვნის გამოტანა დამნაშავის განწყობაზე, რომელიც მას დანაშაულის განხორციელების დროს ჰქონდა. 3. იეშევი და თ. ვაიგენდი აღნიშნულ მოსაზრებას არარეალისტურად მიიჩნევენ⁵⁰, მათი თვალსაზრისით, დანაშაულის მატერიალური და არამატერიალური შედეგების შემსუბუქებას არ შეუძლია ბრალის შემცირება. ასეთ დროს

⁴⁹ ალ. იაშვილი, სასჯელის დასაბუთება, წიგნში: სახელმძღვანელო წინადადებები სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის ფორმის, მისი დასაბუთებულობისა და ტექსტის სტილისტიკური გამართულობის თაობაზე, თბ., 2015, გვ. 223-224

⁵⁰ თ. ცქიტიშვილი, სასჯელი და მისი შეფარდება გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ., 2019 გვ.146

სასჯელი პრევენციული საჭიროებითაა შემოკლებული⁵¹, რაც მართებულ შეხედულებას წარმოადგენს. ზიანის ანაზღაურება მიუთითებს არა დანაშაულის ჩადენის დროს დამნაშავის განწყობაზე, არამედ მისი განწყობის შეცვლაზე. თუ მოქმედ პირს არ ექნებოდა ზიანის გამოწვევის განწყობა, არ განხორციელებდა შესაბამის ქმედებასაც. თუმცა, ყველა შემთხვევაზე შეიძლება ეს არ გავრცელდეს. მაგალითად, დამნაშავე ევენტუალური განზრახვით და გაუფრთხილებლობით როცა მოქმედებდა დამდგარი შედეგის მიმართ. როდესაც ქმედების განხორციელების დროს დამნაშავეს არ გააჩნია შედეგის გამოწვევის სურვილი, მისგან უფრო არის მოსალოდნელი მისთვისაც არასასურველი ზიანის ანაზღაურება. ხოლო, პირდაპირი განზრახვის დროს ეს ნაკლებ სავარაუდოა, რამდენადაც დამნაშავეს სურს ან აცნობიერებს შედეგის დადგომის გარდაუვალობას. თუ პირდაპირი განზრახვით განხორციელებული ქმედებით გამოწვეული ზიანი დამნაშავემ ანაზღაურა, ეს განპირობებული იქნება არა ქმედების განხორციელების დროს არსებული განწყობით, არამედ იმ განწყობით, რომელიც მას დანაშაულის განხორციელების შემდეგ შეექმნა, მაგრამ ბრალის ხარისხის დასადგენად უნდა იქნას გათვალისწინებული სწორედ პირველი (ქმედების განხორციელების დროს არსებული) განწყობა და არა მეორე. მაშასადამე, ზიანის ანაზღაურებით შეუძლებელია დანაშაულის ჩადენის დროს არსებულ დამნაშავის განწყობაზე სანდო დასკვნის გამოტანა. ციკფი ზიანის ანაზღაურებას განიხილავს სასჯელის შეფარდების დროს გასათვალისწინებელი ბრალის განმსაზღვრელ შედეგის კომპონენტად (rfolgskomponent), მაგრამ სასჯელის შეფარდების დროს გასათვალისწინებელი ბრალისგან (Strafzumessungsschuld) იგი მიჯნავს დანაშაულში ბრალეულობას (Tatschuld) და ამ უკანასკნელს დანაშაულებრივი ქმედების განხორციელების დროსთან მჭიდროდ აკავშირებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ზიანის ანაზღაურება, რომელსაც დანაშაულის ჩადენის შემდეგ აქვს ადგილი, ზეგავლენას ახდენს არა დანაშაულებრივი ქმედების განხორციელების ბრალზე, არამედ სასჯელის შეფარდების დროს გასათვალისწინებელ ბრალის მოცულობაზე ქმედების უმართლობა და ბრალი ქმედების ფორმალურად განხორციელებას და მატერიალურად დასრულებას უკავშირდება. თუმცა, ფრიში როდი უარყოფს იმას, რომ პრევენციული თვალსაზრისით დამნაშავის დანაშაულის შემდგომი ქმედების გათვალისწინება სასჯელის შეფარდებისას რელევანტურია.

ვ.თონე ზიანის ანაზღაურებას უმართლობის შემამსუბუქებელ გარემოებას მიაკუთვნებს, მიუხედავად იმისა, რომ ქმედების უმართლობა უცვლელი რჩება. მისი

⁵¹ Jescheck/Weigend, dasax. naSr., gv. 896. 462 Maurach/Goessel/Zipf, Strafrecht, Allgemeiner Teil, 2. Teilband, 8. Aufl., Heidelberg, 2014, S. 778, §63 Rn. 19. 147

თვალსაზრისით, იგი შედეგის უმართლობას ამცირებს ფართო გაგებით.⁵²

ფრიშის მოსაზრება მართებულად შეიძლება ჩაითვალოს, ვინაიდან გაუმართლებელია ქმედების უმართლობის სიმძიმე და ბრალი იმ გარემოებებით გაიზომოს, რომელიც დროის თვალსაზრისით დანაშაულის განხორციელებას სცდება. ქმედების უმართლობის და ბრალის სიმძიმის დადგენისას მხედველობაშია მისაღები ის გარემოებები, რომელიც ან დანაშაულის განხორციელებას უსწრებდა წინ, როგორც წინაპირობა ან არსებობდა ქმედების განხორციელების მომენტში. თუმცა, ზიანის ანაზღაურების მიხედვით ბრალის ხარისხის შემსუბუქების შესაძლებლობის საკითხის განხილვისას გასათვალისწინებელია ისიც, თუ როგორ განიმარტება ბრალი. მაგალითად, თუ ბრალი განიმარტება ბოროტ, გასაკიცხ განწყობად, ზიანის ანაზღაურება უდავოდ მიუთითებს განწყობის შეცვლაზე, თუმცა მნიშვნელოვანია განწყობა ქმედების განხორციელებისას. ხოლო, თუ ბრალი განიმარტება როგორც „სხვაგვარად მოქმედების შესაძლებლობა“, ასევე საეჭვო ხდება ზიანის ანაზღაურების მიხედვით ბრალის ხარისხის შემცირება, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში აქტუალურია მოქმედი პირის „სხვაგვარად მოქმედების შესაძლებლობა“ ქმედების განხორციელების დროს და არა ქმედების განხორციელების შემდეგ.

უმართლობის სიმძიმის განსაზღვრასთან დაკავშირებით ზიანის ანაზღაურების მნიშვნელობაზე შეიძლება შემდეგი კითხვა დაისვას: ზიანის ანაზღაურება ხომ არ იწვევს დანაშაულებრივი ხელყოფის შედეგად გამოწვეული ზიანის შემცირებას ან კომპენსირებას? მაგალითად, მოქმედმა პირმა ცეცხლი შეგნებულად წაუკიდა მეზობლის სახლს შურისძიების მოტივით, ხოლო შემდეგ ზიანი აუნაზღაურა. კერძოდ, მეზობელს ახალი სახლი უყიდა. ხომ არ გამოირიცხება ასეთ დროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ან ხომ არ მცირდება უმართლობის ხარისხი ზიანის ანაზღაურებით? დასმულ კითხვაზე პასუხი უნდა იყოს უარყოფითი. ასეთ დროს არ შეიძლება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამორიცხვა. უმართლობა მაინც არსებობს. მიუხედავად ზიანის ანაზღაურებისა, არც ქმედების უმართლობის ხარისხია შემცირებული. აღნიშნულ საკითხზე სხვა მაგალითის მოშველიებაც შეიძლება. მაგალითად, „ა“-მ ქურდობა განახორციელა და შემდეგ, მოგვიანებით, როცა ქურდობა დასრულებული იყო და ნაქურდალი რეალიზებული, დაზარალებულ მესაკუთრეს ზიანი აუნაზღაურა ნებაყოფლობით, სანამ განხორციელებულის თაობაზე პოლიცია შეიტყობდა. „ა“-ს ქმედება ქურდობად უნდა დაკვალიფიცირდეს, მიუხედავად ქურდობის შემდგომი ქმედებისა და ქმედების კვალიფიკაციისას მოპარული ნივთის ღირებულებაც უნდა იქნას გათვალისწინებული. თუ მნიშვნელოვანი ზიანის გამომწვევი ან დიდი ოდენობით ქურდობა განხორციელდა, ქმედება იმ ნორმით უნდა დაკვალიფიცირდეს, რომელიც

⁵² თ. ცქიტოშვილი, სასჯელი და მისი შეფარდება გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ. 2019 გვ.147

დასახელებულ მაკვალიფიცირებელ გარემოებას ითვალისწინებს. თუ ზიანის ანაზღაურება ქმედების უმართლობის სიმძიმის განმსაზღვრელ გარემოებად შეფასდებოდა, ან ქმედების მაკვალიფიცირებელი გარემოება ან საერთოდ უმართლობა უნდა გამოგვერიცხა, რაც გაუმართლებელი იქნებოდა.

უმართლობის შემცირება შესაძლებელია უმართლობის განხრციელების პროცესში, მიუხედავად იმისა, რომ მისი განხორციელება დაწყებულია. მაგალითად, სხვის სახლს ცეცხლი წაუკიდა „ა“-მ, რომელმაც მოგვიანებით ცეცხლი ჩააქრო, სანამ სახლი მთლიანად დაიწვებოდა და სახლის დიდი ნაწილი უვნებელი გადაარჩინა. მართალია, თავიდან სახლის მთლიანად დაწვა იყო განზრახული, მაგრამ განზრახვა სრულად არ იქნა რეალიზებული ისევ დამნაშავეს ნებიდან გამომდინარე, რაც მან დანაშაულის მსვლელობის დროს გამოავლინა. თუ ზიანის ანაზღაურებას უმართლობის შემამსუბუქებელ გარემოებად ჩავთვლიდით, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება მართლწინააღმდეგობის, შესაბამისად, უმართლობის, გამომრიცხავ გარემოებად უნდა გვეღიარებინა. თავიდან გაბატონებული შეხედულება ნებაყოფლობით ხელის აღებას სწორედ ასეთ მნიშვნელობას ანიჭებდა, მაგრამ ახლა მას არავინ არ იზიარებს, რამდენადაც ქმედება ან თავიდანვეა საზოგადოებრივად საშიში და მართლსაწინააღმდეგო ან არ არის ასეთი. შეგვიძლია პარალელის გავლება აღნიშნულ საკითხსა და ზიანის ანაზღაურებას შორისაც, ვინაიდან მათ შორის გარკვეული მსგავსება არსებობს.

ნებაყოფლობითობა, როგორც ზიანის ანაზღაურების მნიშვნელობის განმსაზღვრელი ზიანის ანაზღაურება შეიძლება იყოს ნებაყოფლობითი და იძულებითიც. ჩნდება კითხვა, აქვს თუ არა ორივე სახის ზიანის ანაზღაურებას თანაბარი მნიშვნელობა? ერთ-ერთი მოსაზრებით, გასათვალისწინებელია მხოლოდ ზიანის ნებაყოფლობითი ანაზღაურება და არა იძულებითი ქმედება. მაგალითად, როდესაც მსხვერპლი დასჯით დაემუქრება დამნაშავეს. თუ დამნაშავე აიძულეს გამოესწორებინა ზიანი, ეს არ შეამსუბუქებს დამნაშავეს პასუხისმგებლობას, ვინაიდან ზიანის იძულებით ანაზღაურება არ მოწმობს დამნაშავეს ნაკლებ საზოგადოებრივ საშიშროებას.⁵³ მეორე მოსაზრების მიხედვით, ზიანის ანაზღაურებამ სასჯელის ზომა რომ შეამსუბუქოს, არა აქვს მნიშვნელობა იმას, თუ რა მოტივით აუნაზღაურა დამნაშავემ მსხვერპლს ზიანი. მიუხედავად ზიანის ანაზღაურების მოტივისა, სასჯელი მაინც უნდა შემსუბუქდეს. თუმცა, ამავ შეხედულების შესაბამისად, მოტივი, ზიანის ანაზღაურების სახე და შესაძლებლობები სასჯელის შემსუბუქების ზომაზე ახდენს გავლენას. როდესაც საუბარია ზიანის ანაზღაურების მოტივის და ნებაყოფლობითობის მნიშვნელობაზე სასჯელის შემსუბუქების თვალსაზრისით, კარგი იქნება პარალელის გავლება ნებაყოფლობით ხელის

⁵³ შავგულიძე თ., წიგნში: წერეთელი თ., ტყემელიაძე გ., (რედ.), საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, თბ., 1976, გვ. 215.

აღების ინსტიტუტთან. ნებაყოფლობით ხელის აღების დროსაც არ აქვს მნიშვნელობა იმას, დამნაშავე თუ რა მოტივით აიღებს ხელს დანაშაულზე. მთავარია, რომ ხელის აღება იყოს ნებაყოფლობითი. მოტივს ამ შემთხვევაში სამართლებრივი მნიშვნელობა არ ენიჭება. ანალოგიურად უნდა გადაწყდეს საკითხი ზიანის ანაზღაურების დროსაც. არ უნდა ჰქონდეს მნიშვნელობა იმას, თუ რა მოტივი უდევს საფუძვლად ზიანის ანაზღაურებას. რაც შეეხება ნებაყოფლობითობას, დანაშაულზე ხელის აღებისგან განსხვავებით, მაინც უნდა შეინარჩუნოს მნიშვნელობა ზიანის ანაზღაურებამ, მიუხედავად იმისა, იგი ნებაყოფლობით მოხდა თუ იძულებით. გარდა ამისა, როდესაც იძულებაზეა საუბარი, ისიც გასათვალისწინებელია, თუ რას ვგულისხმობთ მასში. ვინ ახორციელებს „იძულებას“. თვით მსხვერპლი, თუ მესამე პირი. როდესაც მუქარას მსხვერპლი ახორციელებს, მას ნაკლები ნეგატიური მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს. მაგალითად, ნებაყოფლობით ხელის აღების დროსაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს მუქარას მსხვერპლის მხრიდან (სქესობრივი დანაშაულის მცდელობის ეტაპზე), რომ ის იჩივლებს შესაბამის ორგანოებში და დაისჯება დამნაშავე, მაგრამ გამორიცხავს კი იგი „ნებაყოფლობით ხელის აღებას“? როგორც უკვე ითქვა, ზიანის ანაზღაურება ქმედით მონანიებადაც იწოდება ლიტერატურაში, მაგრამ, როცა ზიანის ანაზღაურება არ ხდება ნებაყოფლობით, იგი შეუძლებელია ქმედით მონანიებად განიხილებოდეს, რამდენადაც ქმედითი მონანიება და ზიანის იძულებით ანაზღაურება ერთმანეთს გამორიცხავს. როდესაც დამნაშავე ნებაყოფლობით კი არ ანაზღაურებს ზიანს, არამედ მსხვერპლის მუქარის შედეგად, ამით ნათელი ხდება, რომ დამნაშავე ჩადენილ დანაშაულს არ ინანიებს, მაგრამ მიუხედავად დამნაშავის მხრიდან ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით გულწრფელი სინანულის გრძნობის არქონისა, მაინც უნდა იქნას მხედველობაში მიღებული, რომ ადგილი ჰქონდა ზიანის ანაზღაურებას. ქართული სისხლის სამართლის კოდექსი სასჯელის დანიშვნის დროს გასათვალისწინებელ გარემოებად აცხადებს დანაშაულის შემდგომ დამნაშავის ქცევას და მათ შორის ზიანის ანაზღაურებას (53-ე მუხ. მე-3 ნაწ.), სადაც არ ხდება იმაზე მითითება, უნდა ატარებდეს თუ არა ზიანის ანაზღაურება ნებაყოფლობით ხასიათს. თუმცა, სსკ-ის 68-ე მუხლი (1-ლი ნაწ.) სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გასათავისუფლებლად ზიანის ანაზღაურებასთან ერთად კუმულაციურად სხვა გარემოებათა არსებობასაც მოითხოვს, მათ შორის ბრალის აღიარებას და დანაშაულის გახსნისთვის ხელის შეწყობას, რაც დამნაშავის შესაბამის შინაგან ნებას და განწყობას გულისხმობს. მაშინ, როდესაც ზიანის ანაზღაურება სასჯელის შემამსუბუქებელ გარემოებას წარმოადგენს,⁵⁴ საინტერესოა, თუ რა მნიშვნელობას იძენს ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმა? საქართველოს უზენაესი სასამართლოს პოზიციით, თუ ზიანის ანაზღაურება სასჯელის შემცირებას იწვევს, ასეთი მოცემულობის არარსებობა არ

⁵⁴ თ. ცქიტიშვილი, სასჯელი და მისი შეფარდება გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ. 2019 გვ.155

შეიძლება შეფასდეს პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად, დანაშაულის ტიპურ სურათთან შესაბამისობის გათვალისწინებით.

საქართველოს სსკ-ის 56-ე მუხლი ეხება დაუმთავრებელი დანაშაულისთვის სასჯელის დანიშვნას. აღნიშნული მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, „დაუმთავრებელი დანაშაულისთვის სასჯელის დანიშვნის დროს მხედველობაში მიიღება გარემოებანი, რომელთა გამოც დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი“. ხოლო მე-4 ნაწილის მიხედვით, უვადო თავისუფლების აღკვეთა არ შეიძლება შეეფარდოს იმას, ვინც დაუმთავრებელი დანაშაული ჩაიდინა. დანაშაულის ბოლომდე მიყვანას ხელი შეიძლება სხვადასხვა გარემოებამ შეუშალოს. ეს შეიძლება იყოს მესამე პირზე დამოკიდებული ან სხვა გარემოება, რაც მესამე პირთან არც არის კავშირში. მაგალითად, ბუნებრივი პირობები და სხვ. დანაშაულის ბოლომდე მიუყვანლობა შეიძლება უკავშირდებოდეს დამნაშავესაც. კერძოდ, დანაშაულებრივი ქმედების ცუდად დაგეგმვას, დანაშაულის ჩასადენად დროის, საშუალების, ხერხის ცუდად შერჩევას. ჩნდება კითხვა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სასჯელის შესაფარდებლად იმის გარკვევა, თუ რატომ არ განხორციელდა დანაშაული ბოლომდე? აღნიშნული საკითხის გარკვევა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც დანაშაული შეიძლება ბოლომდე არ იქნას მიყვანილი თვით დამნაშავეს ნებით, შეიძლება მსჯავრდებულმა გადაიფიქროს დანაშაულის ბოლომდე განხორციელება და სცადოს ხელის აღება. გასათვალისწინებელია ის, რომ სსკ-ის 21-ე მუხლის მიხედვით, ნებაყოფლობით დანაშაულზე ხელის აღება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან პირის გათავისუფლების საფუძველია. თუმცა, დანაშაულზე ხელის აღების გამო პირის პასუხისმგებლობისგან გასათავისუფლებლად საკმარისი არ არის დანაშაულებრივი შედეგის არდადგომა და მსჯავრდებულის მიერ გამოვლენილი ნება დანაშაულებრივი შედეგის თავიდან ასაცილებლად. შეიძლება პირმა გარკვეული ქმედება განახორციელოს შედეგის თავიდან ასაცილებლად, შედეგი არ დადგეს, მაგრამ ქმედების ჩამდენს მაინც დაეკისროს პასუხისმგებლობა დაუმთავრებელი დანაშაულის განხორციელების გამო. დანაშაულებრივი შედეგის არდადგომა და შედეგის თავიდან აცილების მიზნით განხორციელებული ქმედება იქნება თუ არა საკმარისი დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებისთვის, დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი თეორიის მიხედვით გადაწყდება საკითხი. მაგალითად, შანსების თეორია მართლსაწინააღმდეგო შედეგის თავიდან აცილებით და შედეგის თავიდან აცილებასთან მსჯავრდებულის ქმედების მიზეზობრივ კავშირში ყოფნით კმაყოფილდება, მაგრამ შედეგის საუკეთესოდ მიღწევის თეორია ამით არ კმაყოფილდება და დამატებით პირობად მოითხოვს მსჯავრდებულის მიერ შედეგის თავიდან ასაცილებლად ყველა რესურსის გამოყენებას.⁵⁵ თუ შედეგის საუკეთესოდ მიღწევის თეორიის მიხედვით

⁵⁵ თ. ცქიტიშვილი, სასჯელი და მისი შეფარდება გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ. 2019 გვ.267

გადაწყდა საკითხი და შედეგის თავიდან აცილების მიუხედავად, მაინც გამოირიცხა დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების გამო პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება, სასჯელის დანიშვნისას მაინც უნდა იქნას მიღებული ის გარემოება, რომ დანაშაული ბოლომდე არ განხორციელდა მსჯავრდებულის ნებით და შედეგის თავიდან აცილებასთან მისი ქმედება მიზეზობრივ კავშირშია. მაშასადამე, მსჯავრდებული არ გათავისუფლდება პასუხისმგებლობისგან, მაგრამ შედარებით უფრო მსუბუქად დაისჯება. თუ დანაშაულის ბოლომდე არ მიყვანასთან მსჯავრდებულის ქმედება არანაირ კავშირში არ არის, მსჯავრდებულს ასეთ დროს უფრო მკაცრი სასჯელი შეეფარდება.

სსკ-ის 56-ე მუხლის მოქმედ რედაქციაში არ არის მითითებული დაუმთავრებელი დანაშაულისთვის მსჯავრდებულს მაქსიმუმ რა ზომის სასჯელი შეიძლება შეეფარდოს, რაც აჩენს კითხვას, არის თუ არა დასაშვები, რომ დაუმთავრებელი დანაშაულისთვის მსჯავრდებულს შეეფარდოს სსკ-ის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული სასჯელის ზედა ზღვარი? დასმულ კითხვასთან დაკავშირებით ი. დვალიძე აღნიშნავს: „დაუმთავრებელი დანაშაულისთვის სასჯელის დანიშვნისას შესაძლებელია კონკრეტული დანაშაულისთვის სანქციით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელის გამოყენება. ერთადერთი შეზღუდვა დაწესებულია უვადო თავისუფლების აღკვეთის შეფარდებაზე“.⁵⁶ თუმცა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა საწინააღმდეგოზე მიუთითებს. საკასაციო პალატამ სააპელაციო სასამართლოს მიერ გაუპატიურების მცდელობის გამო მსჯავრდებულისთვის კანონით გათვალისწინებული სასჯელის ზომის მაქსიმუმის დანიშვნა აშკარად უსამართლოდ, მეტისმეტად მკაცრად მიიჩნია და მსჯავრდებულს თავისუფლების აღკვეთა 1 (ერთი) წლით შეუმცირა.⁵⁷

⁵⁶ ი. დვალიძე, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბ., 2013, გვ. 107.

⁵⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 9 იანვრის გადაწყვეტილება, N1049აპ.

თავი V. კვლევის შედეგები

პირი რომ განთავისუფლებული იქნას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების გამო, საჭიროა არსებობდეს შემდეგი პირობები:

1) დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე უარის თქმა უნდა იყოს ნებაყოფლობითი, ე.ი. უნდა წარმოადგენდეს დანაშაულის ჩამდენი პირის ნების თავისუფალ გამოვლინებას. იძულებითი უარი არ გამოირიცხავს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ინიციატივა შეიძლება მომდინარეობდეს ნათესავებიდან, ნაცნობებიდან, დანაშაულის მოსალოდნელი მსხვერპლიდან, სამართალდამცველი ორგანოების მუშაკებისგან. მთავარია, რომ დანაშაულის ჩადენის შეწყვეტის გადაწყვეტილებას პირი ღებულობს თავისი ნებით.

2) დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება არ გვექნება იმ შემთხვევაში, როცა პირი ვერ ახორციელებს დანაშაულებრივ განზრახვას ობიექტური მიზეზების გამო. მაგალითად, ქურდმა გატეხა სეიფი, მაგრამ შიგ ფული არ აღმოჩნდა.

2) დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება გვაქვს მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც დამნაშავემ სავსებით და საბოლოოდ მიატოვა დანაშაულებრივი ქმედება და არა მაშინ, როდესაც მან დროებით შეწყვიტა მოქმედება, რათა უფრო მოხერხებულ დროს და მოხერხებულ პირობებში განაგრძოს იგი.

3) დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება გვაქვს მაშინ, როდესაც სუბიექტს რეალური შესაძლებლობა აქვს ბოლომდე მიიყვანოს განზრახვა, მაგრამ იღებს გადაწყვეტილებას ხელი აიღოს მასზე.

დანაშაულზე ხელის აღება ნებაყოფლობით ხასიათს ატარებს იმ შემთხვევაშიც, როდესაც სუბიექტს თუმცა ფაქტიურად არა აქვს შესაძლებლობა ბოლომდე მიიყვანოს დანაშაული, მაგრამ თვითონ დარწმუნდებულია რომ აქვს ამის შესაძლებლობა.

პირიქით, დანაშაულზე ხელის აღებას არა აქვს ნებაყოფლობითი ხასიათი, თუ დანაშაულის შემაფერხებელი გარემოება არსებობს თუნდაც მხოლოდ სუბიექტის წარმოდგენაში და არა რეალურ სინამდვილეში.

თანამონაწილეთა მიერ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ინსტიტუტზე მსჯელობის დროს გამოიკვეთა შემდეგი საკითხები: პირველი, თანამონაწილეობის, თანამსრულებლობისა და შუალობითი ამსრულებლობის შემთხვევაში დანაშაულზე ხელის აღება, შესაძლებელია, როგორც მოქმედებით, ასევე უმოქმედობით. მეორე, თანამონაწილეთა

მიერ ნებაყოფლობით ხელის აღება თეორიულად დასაშვებია იურიდიულად დამთავრებული დანაშაულის ეტაპზე. ამიტომ, ამ აზრის პრაქტიკული რეალიზაციისათვის აუცილებელია სსკ-ის 21-ე მუხლის მე-3 ნაწილში გარკვეული ცვლილების განხორციელება, კერძოდ, სსკ-ის 21-ე მუხლის მე-3 ნაწილის მე-2 წინადადება, მიზანშეწონილია, ასე ჩამოყალიბდეს: „...დამხმარეს აგრეთვე არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მან ამსრულებლის მიერ დანაშაულის დასრულებამდე უარი თქვა შეესრულებინა შეპირებული ქმედება, ანდა უკან დაიბრუნა დანაშაულის ჩასადენად გადაცემული იარაღი ან საშუალება”. მესამე, დამნაშავეს შეუძლია ისარგებლოს აუცილებელი მოგერიებისა და დამნაშავეს შეპყრობის უფლებით ნებაყოფლობით ხელის აღების შემთხვევაში, რასაც, შესაძლებელია, პირობითად ეწოდოს: დამნაშავეს მიერ დამნაშავეს შეპყრობა და დამნაშავეს მიერ აუცილებელი მოგერიების უფლებით სარგებლობა ნებაყოფლობით ხელის აღების პირობით.⁵⁸

⁵⁸ ლ. ხარანაული, დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი) დისერტაცია. თბ., 2013, გვ. 353

დასკვნა

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ინსტიტუტის დანიშნულებაა ერთის მხრივ დანაშაულის აღკვეთა და ამრიგად სამართლებრივი სიკეთისათვის ზიანის მიყენების თავიდან აცილება. ხოლო მეორეს მხრივ, მოცემული ნორმის დადგენით კანონმდებელი ცდილობს შეუქმნას იმ პირს რომელიც უკვე დაადგა დანაშაულის გზას, უკან დახევის სტიმული. ა. ფოიერბაის გამოთქმით, ამით სახელმწიფო "ოქროს ხედს" აგებს დამნაშავესათვის. ჰპირდება რა მას დაუსჯელობას, თუკი იგი გადაიფიქრებს დანაშაულებრივ საქმიანობას და თუნდაც უკანასკნელ მომენტში გადაწყვეტს შეაჩეროს იგი.

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება დასაშვებია მხოლოდ დანაშაულის მომზადების და მცდელობის სტადიებზე. მართლსაწინააღმდეგო შედეგი არ დგება ქმედების ჩამდენი პირის ნებასურვილის გამო. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების მთავარი სამართლებრივი შედეგია ის გარემოება, რომ მისი არსებობისას გამორიცხულია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

აბსტრაქტული და კონკრეტული საფრთხის დელიქტებში დანაშაულის განხორციელებისგან ნებაყოფლობით ხელის აღება შესაძლებელია, ვინაიდან ამ დელიქტების მომზადება და მცდელობა შესაძლებელი. იქ, სადაც დანაშაულის მომზადება და მცდელობა შეიძლება, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობაც გამორიცხული არ არის. საფრთხის შემქმნელ დელიქტებში დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება რომ შეიძლება ეს ყველა სახის საფრთხის დელიქტს არ ეხება. წმინდა უმოქმედობის საფრთხის დელიქტებში დანაშაულის მომზადება და მცდელობა შეუძლებელია, რაც ამ დელიქტებში დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობასაც გამორიცხავს. რაც შეეხება შეკვეცილი შემადგენლობის საფრთხის დელიქტებს (მაგალითად, ყაჩაღობა), მათი მომზადება შეიძლება, მაგრამ არა მცდელობა, რამდენადაც დანაშაული მცდელობის სტადიაზე უკვე იურიდიულად დამთავრებულია. შესაბამისად, ამ დელიქტებში მცდელობის სტადიაზე ნებაყოფლობით ხელის აღება შეუძლებელია.

ზოგიერთი ხელყოფის დანაშაულის მცდელობა საფრთხის შემქმნელი დელიქტის დამთავრებულ შემადგენლობას შეიცავს. აქედან გამომდინარე, ცალკეული ხელყოფის დელიქტის მცდელობის სტადიაზე ნებაყოფლობით ხელის აღება ამ დანაშაულის მცდელობისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას იწვევს, მაგრამ დამნაშავე სრულად არ თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან და საფრთხის შემქმნელი დელიქტის განხორციელებისთვის ისჯება.

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების დაუსჯელობის საფუძველი იმაში მდგომარეობს რომ იგი სპობს საფრთხეს, რომელიც დანაშაულის მომზადების და მცდელობის სტადიებზე რეალურად ემუქრება კანონით დაცულ სამართლებრივ სიკეთეს. ამ დროს სუბიექტი ნებაყოფლობით იღებს ხელს განზრახვაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

მონოგრაფიები:

1. გამყრელიძე ო. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება თბ., 2008
2. გამყრელიძე ო. სისხლის სამართლის პრობლემები. III ტომი. თბ. 2013.
3. დვალიძე ი., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2007
4. დვალიძე ი., „დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება.“ ჟურნალი „ალმანახი“. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის გამომცემლობა. სისხლის სამართლის სერია, N19, 2004
5. დვალიძე ი., სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბ., 2013
6. დაუთაშვილი პ., ა. კვაშილავა, სისხლის სამართალი (ზოგადი ნაწილი), თბ., 2003
7. დონჯაშვილი თ., საქართველოს სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2002
8. იაშვილი ალ., სასჯელის დასაბუთება, წიგნში: სახელმძღვანელო წინადადებები სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის ფორმის, მისი დასაბუთებულობისა და ტექსტის სტილისტიკური გამართულობის თაობაზე, თბ., 2015,
9. ლომსაძე მ., საქართველოს სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი., თბ., 2014;
10. მახარაძე ა. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დანაშაულში დახმარებისათვის, თბ. 2006,
11. მჭედლიშვილი-ჭედრიხი ქ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ., 2011
12. ნაჭყებია გ. სისხლის სამართალი, სახელმძღვანელო, ზოგადი ნაწილი თბ., 2011;
13. ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა. მეცხრე გამოცემა, თბ., 2013;
14. ტურავა მ., სისხლის სამართალი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011;
15. შავგულიძე თ., წიგნში: წერეთელი თ., ტყემელიაძე გ., (რედ.), საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, თბ., 1976
16. შენგელია ა., დოლიძე თ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი (დამხმარე სახელმძღვანელო), თბილისი, 2016
17. ცქიტიშვილი თ., ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები. დისერტაცია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად თბილისი, 2014

18. ცეციტიშვილი თ., სასჯელი და მისი შეფარდება გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ. 2019
19. წერეთელი თ., სისხლის სამართლის პრობლემები, I ტომი, თბ., 2007
20. წერეთელი თ., სისხლის სამართლის პრობლემები, IV ტომი, თბ., 2010
21. ხარანაული ლ., დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი) დისერტაცია. თბ. 2013

უცხოური ლიტერატურა:

22. Jescheck/Weigend, dasax. naSr., gv. 896. 462 Maurach/Goessel/Zipf, Strafrecht, Allgemeiner Teil, 2. Teilband, 8. Aufl., Heidelberg, 2014, S. 778, §63 Rn. 19
23. Шевелева С.В. Свобода воли и принуждение в уголовном праве: Автореферат дисс. ... доктора юрид. наук. - М., 2015.
24. Шамина М. А. Признаки добровольного отказа от совершения преступления // Актуальные проблемы гуманитарных и естественных наук. - 2011. - № 10.

სასამართლო პრაქტიკა:

25. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 9 იანვრის გადაწყვეტილება, N1049აპ.

ნორმატიული აქტები:

26. საქართველოს კონსტიტუცია, 1995;